# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 13 იანვარი 2005 №4 (2327) ფასი 50 თეთრი


## ასტრონომია საჭირო არ არის
## ბუნდესლიგის თანავარსკვლავედში
## კობიაშვილი კარგად ჩანს



ბუნდესლიგა ნბა არ არის, მაგრამ ნამუსმა და ვითარებამ მოითხოვა, რომ „ოლ სტარი" იქაც შეექმნათ და შალკელმა ლევან კობიაშვილმა ვინძლო სწორედ ბუნდესლიგის საყველავარსკვლავო მატჩში ითამაშოს. ოლსტარობა კი გერმანელებმა იმად გადმოიღეს ამერიკელებისგან, ცუნამით დაქცეულ აზიელებს ფული და თანაგრძნობა რომ შეაწიონ. აი, ასეთ ქველ კოსმოპოლიტიკურ ამბავში უნდა გაერიოს კობიაშვილიც, თუ ეს ჰუუბ სტევენსმა ინება.



## ვისი ფული ვის კლუბშია
### რამდენი კაცის ჯიბეში ჩაეტევა მსოფლიო ფეხბურთი?

ძალიან რთული გასაგები კი გახდა ეს თანამედროვე ფეხბურთი. აი, ამბობენ, ჭადრაკივითაა და იმდენი ტაქტიკური მონახაზებია, თავგზა აგებნევაო. ძველ ლაღ ფეხბურთს რომ შეადარებ, მართლაც ასეა, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთში ტაქტიკურ სქემებზე მეტად სხვა რამ არის ძნელად გასაგები და ჩასაწვდომი.

ფეხბურთზე, როგორც ბიზნესზე მოვახსენებთ. ბიზნესის გამოა, რომ სატრანსფერო ბაზარი მაგრად აირია და ველარ გაიგებ, გუნდი ფეხბურთელს რომ ყიდულობს, ფეხბურთისთვის სჭირდება თუ ბიზნესისთვის. იმისთვის, რომ ამ ფეხბურთელმა გოლი გაიტანოს თუ მისი სახელობითი მაისურები გაყიდოს. მაგალითებისთვის შორს ნუ წავალთ.

კიდევ უფრო უცნაური ის არის, რომ კაცს ჰგონია, რომელიღაც გუნდის გულშემატკივარია და თურმე სულ სხვა გუნდისა ყოფილა. ეგ როგორ? როგორ და, თანამედროვე საფეხბურთო ლოგიკა იმგვარია, რომ სულ იოლად შეგვიძლია დავამტკიცოთ: თბილისის „დინამო" სინამდვილეში „კორინთიანსია", ეს ბრაზილიური კლუბი კი სინამდვილეში მოსკოვის ცსკაა. და არც ცსკაა ის, რადაც თავს ასაღებს, ის ლონდონის „ჩელსია". მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ მსოფლიო კლუბთა ინტერესები ისეა ერთმანეთთან გადაჯაჭვული, რომ ხშირად ველარ ხვდები, სად მთავრდება ერთი და სად იწყება მეორე. ზემორე ლოგიკით კი, თუ თბილისის „დინამოს" გულშემატკივარი ხართ, ესე იგი, „ჩელსის" ფანი ბრძანებულხართ.

იხილეთ მეშვიდე გვერდი

## გაგრძელება იქნება?
## გოჩა ჯამარაული დინამოში მივიდა

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გოჩა ჯამარაული გუშინ თბილისის „დინამოში" მივიდა — დონეცკის „მეტალურგის" ყოფილმა კაპიტანმა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო გუნდში სრული დატვირთვით ივარჯიშა, თუმცა „დინამოში" მის შესაძლო ჩარიცხვაზე ჯერ არც ერთი მხარე არ ლაპარაკობს. ვნახოთ, შედგება თუ არა ეს ტრანსფერი. მანამდე კი შეგახსენებთ, რომ შოთა ბაბუნაშვილის, გია მეგრელაძის, ლაშა ნოზაძის, კობა შალამბერიძის და ლაშა ჭელიძის შემდეგ ჯამარაული მეექვსე ახალი ფეხბურთელია, „დინამოს" შეკრებაზე რომ გამოჩნდა.



ზურაბ [illegible] ფოტო

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია ლამის ცუნამიმ მოინელა და ვინ აღარ ეხმარება ბუნების რისხვით დაზარალებულ აზიელებს. ქველმოქმედება არც გერმანელებს ესწავლებათ, ჰოდა, გერმანიის საფეხბურთო კავშირმაც საქველმოქმედო მატჩის ჩატარება გადაწყვიტა — ეროვნული ნაკრები იმ „ოლ სტარის“ წინააღმდეგ, რომელიც ბუნდესლიგაში მოთამაშე საუკეთესო ლეგიონერებით დაკომპლექტდება.

ბუნდესლიგა 22 იანვარს განახლდება, ეს საქველო შეხვედრა კი 25 იანვარს გაიმართება გელზენკირხენში, „აუფშალკეზე“ და მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს ტელეკომპანია ZDF გადასცემს, ბილეთის ფასი 8-დან 30 ევრომდეა. მსგავსი მატჩი 2002 წელსაც გაიმართა, მაშინ გერმანიაში წყალდიდობით დაზარალებულებისთვის ჩატარდა თამაში და საქველმოქმედო 3,5 მილიონი ევროც შეგროვდა.

ჩვენთვის კი 25 იანვრის მატჩი იმითაცაა საინტერესო, რომ ლეგიონერთა ნაკრებში ვინძლო შალკელმა ლევან კობიაშვილმა ითამაშოს. „ოლ სტარში“ მოხვედრის კანდიდატთა სია უკვე გამოქვეყნდა და მასში კობიაშვილის გარდა „შალკეს“ კიდევ ოთხი უცხოელია — სერბი მლადენ კრსტაიჩი და ბრაზილიელები: მარსელო ბორდონი, ლინკოლნი და აილტონი.

გუშინ კობიაშვილს გერმანიაში დავურეკეთ და „ოლ სტარის“ გარდა სხვაზეც ვესაუბრეთ...



# კობიაშვილის საქველო და საჩემპიონო პერსპექტივა

## შალკე შინ დარჩა, რათა ცუნამის და ბაიერნს აჯობოს

— „ოლ სტარის“ კანდიდატებში მართლაც ვარ და ჩემთვის ძალიან სასიხარულო იქნება, თუ ამ საქველმოქმედო მატჩში ვითამაშებ.

**— ასეთ მატჩის გამართვა „შალკეს“ იდეა იყო თუ გერმანიის საფეხბურთო კავშირის?**

— ეს ერთობლივი აზრი იყო და ამიტომაც მატჩი „შალკეს“ სტადიონზე გაიმართება.

**— „ოლ სტარის“ მწვრთნელი ვინ იქნება?**

— ჰოლანდიელი ჰუუბ სტევენსი, ვინც ახლა „კიოლნის“ მწვრთნელია. მას ედი ახტერბერგი დაეხმარება, რომელიც „შალკეში“ რალფ რანგნიკის თამაშემწეა.

**— „შალკეში“ საქმეები როგორ მიდის, როგორ ემზადებით?**

— შინ ვემზადებით, არსად წავსულვართ, ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს და მერე შინ მივდივართ.

**— ზამთრის არდადეგებზე გერმანულ კლუბებში ხმაურიანი ტრანსფერები არ განხორციელებულა და როგორ ფიქრობ, მეორე ეტაპზე გუნდების ძალთა ბალანსი იგივე დარჩება?**

— ხმაურიანი ტრანსფერები მართლაც არ ყოფილა, ერთი ისაა, რომ ბიქსენტ ლიზარაზუ „ბაიერნში“ დაბრუნდა. ტელეტრანსლაციებისგან გერმანულ კლუბებს დიდი ფული არ შესდით და ძვირიანი ტრანსფერებიც აღარ ხდება. „შალკემ“ ერთი ფეხბურთელი დაიმატა — მიმოუნ აზუაგი „მაინციდან“, ის გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წევრია. აზუაგი ახლა ტრავმირებულია და საკონტროლო მატჩებშიც ამიტომ არ ჩანს. მომავალი სეზონიდან კი „შალკეში“ გერმანიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ფაბიან ერნსტი გადმოვა ბრემენის „ვერდერიდან“.

**— „შალკეს“ გენერალური მენეჯერი რუდი ასაუერი იმაზე არ გესაუბრათ, ამ სეზონში კონკრეტულად რა მიზნისთვის უნდა იბრძოლოთ?**

— არავინ იქნება იმის წინააღმდეგი, თუ ჩემპიონები გავხდებით, თუმც „ბაიერნთან“ ბრძოლა საკმაოდ ძნელია. არც ის იქნება ურიგო, თუ სამეულში მოვხვდებით.

**დავით თავართქილაძე**

# ციურიხი გულზე არ მეხატება

## ერთთვიანი ვიზა თუ ერთწლიანი კონტრაქტი?

*თბილისის „დინამოს“ მიერ ტრანსფერზე დაყენებული ლადო ახალაია დღეს შვეიცარიაში გაფრინდა იქაურ „ციურიხთან“ კონტრაქტის გასაფორმებლად. ამის შესახებ „სარბიელის“ წინა ნომრებშიც არაერთხელ გაცნობეთ, გუშინ კი ახალაიას „დინამოს“ ბაზაზე შევხვდით — პასპორტით და თვითმფრინავის ბილეთით ხელდამშვენებულს მაინცდამაინც დიდი კმაყოფილება ვერ შევატყვეთ და, ბუნებრივია, მიზეზით დავინტერესდით...*



— ყველაფერი გადაწყვეტილია და ხვალ ციურიხში ჩავალ, მაგრამ ამ ამბით დიდად გახარებული არ ვარ.

**— რატომ?**

— ჩავალ და ყველაფერს იქ გადავწყვეტ. გავიგე, პირობები არცთუ ისე ხელსაყრელი ყოფილა და მინდა, კონტრაქტს მეც გადავხედო. თუ არ მომეწონა, „ციურიხში“ გადასვლაზე უარს ვიტყვი.

**— მხოლოდ პირობებია საკითხავი თუ გუნდიც არ მოგწონს?**

— ეგაც არის. გუნდზეც ვერ ვიტყვი, მაგარიაო. აქაურზე ოდნავ უკეთესი პირობებია და ეგ არის. სხვა განსხვავებას ნაღდად ვერ ვხედავ.

**— უკეთეს ვარიანტს ელოდი თუ რაზე გწყდება გული?**

— იყო ლაპარაკი რამდენიმე გუნდზე, მაგრამ, სამწუხაროდ, „ციურიხი“ შემრჩა ხელთ.

**— რამდენწლიან კონტრაქტზეა ლაპარაკი?**

— ერთწლიანზე მეტი ხნით „ციურიხში“ დარჩენა ახლა არ მაწყობს.

**— როგორ ფიქრობ, „ციურიხს“ სეზონისწინა შეკრებაზე მოეწონე, როცა ასევე შვეიცარიულ „ბაზელს“ გაუტანე გოლი?**

— არ ვიცი, ვერ გეტყვი.

**— მოკლედ, დარჩები თუ არა შვეიცარიაში, ვერ ამბობ...**

— ერთთვიანი ვიზა მაქვს და როცა ჩავალ, მერე ვნახავ, რა როგორ იქნება.

**ბაჩა ზალამბერიძე**

### ესპანეთი

**სამეფო თასი**
**მერვედფინალი**
**პირველი მატჩები**

მირანდესი 1:3 ბეტისი
ოსასუნა 2:0 ხეტაფე
ელჩე 1:0 ნუმანსია
ლორკა 1:3 ატლეტიკო
ლანსაროტე 2:1 ბილბაო

### იტალია

**თასის**
**მერვედფინალი**
**საპასუხო მატჩები**

პარმა 0:3 *ფიორენტინა* (0:2)
ბოლონია 1:3 *ინტერი* (1:3)
*სამპდორია* 1:2 ტორინო (2:0)
*მილანი* 2:0 პალერმო (2:1)

### ინგლისი

**მეორე ლიგა**
**გადადებული მატჩი**

ბოსტონი 2:0 საუთენდი

**ლიგის თასი**
**ნახევარფინალი**

ჩელსი 0:0 მანჩესტერი

### საფრანგეთი

**პირველი დივიზიონი**
**XX ტური**

კაენი 0:0 პსჟ
ისტრი 0:1 მონაკო
მეცი 1:0 აიაჩო
ნიცა 3:3 ბორდო
რენი 1:0 ოსერი
სოშო 0:2 ლიონი
სენტ ეტიენი 0:0 ლანსი
ტულუზი 2:0 სტრასბური
ბასტია 0:0 ნანტი

### პორტუგალია

**თასის**
**მეთექვსმეტედფინალი**

ოდიველაში 1:2დ.დ.(1:1) *ბრაგა*
*აკადემიკა* 1:0დ.დ.(0:0) ლულეტანუ
*ბეირა მარი* 2:2დ.დ.(პენ.6:5, 2:2) ესპინიუ
*ფიაეში* 0:0(პენ.4:2) მარიტიმუ
*პინალნოვენსე* 3:0 ლეცა
რიუ ავე 0:2 *აკადემიკა*
ლეირია 1:2 *ნასიონალი*
ლურდელუ 0:2 *გიმარაეში*
ვიზეუ 1:3 *სეტუბალი*
*პენაფიელი* 3:2 მაია
*ბელენენსეში* 3:0 პომბალი

ფეხბურთის კლუბი ამერი თანაუგრძნობს
მერაბ მეტრეველს მამის
**მირიან მეტრეველის**
გარდაცვალების გამო

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ
მერაბ მეტრეველს მამის
**მირიან მეტრეველის**
გარდაცვალების გამო


**საქართველოს ბუქმეიკერთა და ტოტალიზატორთა ასოციაცია**

ახალი საგადასახადო კოდექსიდან გამომდინარე საკითხების განსახილველად, რეკომენდაციების შესამუშავებლად და ერთობლივი ღონისძიებების დასაგეგმად ასოციაციის წევრებსა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლებს იწვევს შეკრებაზე კინოთეატრ „რუსთაველის“ მეორე დარბაზში შაბათს, 15 იანვარს, 13.00 საათზე.

**საქართველოს ბუქმეიკერთა და ტოტალიზატორთა ასოციაციის პრეზიდიუმი**



**რეკლამა სარბიელ-ში**

**Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80**

# დინამოა მათი ოცნება...

## გოჩა ჯამარაულიც დინამოშია



გია გეგუჩაძე

**თბილისის „დინამომ" სეზონის მეორე ეტაპისთვის მზადება 5 იანვარს დაიწყო. გია გეგუჩაძე დილით დიღმის ბაზაზე, საღამოს კი „ოლიმპის" საფეხბურთო სკოლის მინდორზე ავარჯიშებს ბიჭებს. ჩემპიონატის განახლებამდე დინამოელები ორ უცხოურ შეკრებას გაივლიან — 20 იანვარს კვიპროსულ შეკრებაზე მიემგზავრებიან, ათი დღის შემდეგ კი თბილისში დაბრუნდებიან და 3-11 თებერვალს ცხონებული ხესუს ხილის ყოფილ სამფლობელოში, ესპანურ კურორტ მარბელაში დასცემენ ბანაკს, სადაც ოთხგუნდა ტურნირშიც ითამაშებენ**



გოჩა ჯამარაული: „დინამო"?

**„დინამოში"**, მოგეხსენებათ, საკმაო გადანაცვლებები მოხდა. გიორგი შაშიაშვილი ავსტრიულ „პაშინგს" აწონებს თავს და დღე-დღეზე ალბათ კონტრაქტსაც გააფორმებს. 19 წლის ფორვარდი სანდრო იაშვილი „თბილისშია", ბორის გოჩაროვი ჯერაც კლუბის ძიებაშია, თბილისის „ლოკომოტივში" განათხოვრებული ლადო ბურდული ნელ-ნელა უახლოვდება „ალანიას" და ლადო ახალაიამაც შვეიცარიული „ციურიხისკენ" აიღო გეზი.

ახლა „დინამოს" ახალ სახეებზეც ვთქვათ: ქუთაისის „ტორპედოს" ექსლიდერები — ნახევარმცველი შოთა ბაბუნაშვილი და ფორვარდი გია მეგრელაძე, შემტევი ნახევარმცველი კობა შალამბერიძე პირველლიგელი თბილისის „სპარტაკიდან", „ვიტ ჯორჯიას" ექსკაპიტანი ლაშა ნოზაძე, ცენტრალური მცველი ლაშა ჭელიძე ზაპოროჟიეს „მეტალურგიდან" და... გოჩა ჯამარაული. დიახ, გუშინ დიღმის ბაზაზე დინამოელთა მეექვსე ახალწვეული ვარჯიშობდა, ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჯამარაული უკვე ოფიციალურად დინამოელია.

ის კი არა, კლუბს ჯერ არც ერთ ახალწვეულთან არ გაუფორმებია კონტრაქტი. 18 იანვარს „დინამოს" თავკაცი გია გეგუჩაძე პრესკონფერენციას გამართავს და ახალთა პრეზენტაციაც ვინძლო მაშინ შედგეს. თუმც, ვინ იცის, ეგებ რომელიმე მათგანთან კონტრაქტის გაფორმება კლუბმა იუაროს კიდეც.

ვარჯიშს რაც შეეხება, გეგუჩაძემ ჯერ კვადრატები გააჩაღებინა ბიჭებს, მერე მცირედი ფიზიკური დატვირთვები იყო და ბოლოს ორ გუნდად გაყოფილებმა ტრადიციული ორკარა ითამაშეს ნახევარ მოედანზე. ბუნებრივია, ორი თვის მანძილზე უკლუბოდ მყოფ ჯამარაულს ოფლისმღვრელი ვარჯიშების ატანა ჯერ გაუჭირდება, მაგრამ ფორმა თუ აღიდგინა, მერე სხვა საქმეა... თქმა რად უნდა, ამ შემთხვევაში გოჩას შემატება ახალგაზრდული „დინამოსთვის" მისწრება იქნება. არადა, დონეცკის „მეტალურგიდან" წამოსვლის შემდეგ საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი კარიერის დასრულების ზღვარზეც იყო.

ვარჯიშის შემდეგ დინამოელთა ახალწვეულებს გავესაუბრეთ...

*ლაშა ნოზაძე* „დინამოში" გადასვლას თავისი ცხოვრების ახალ ეტაპად მიიჩნევს, თუმც „ვიტ ჯორჯიას" ამაგსაც არ ივიწყებს:

— ყველა მწვრთნელს თავისი ხელწერა აქვს და, ბუნებრივია, არც გია გეგუჩაძეა გამონაკლისი, თუმც განსაკუთრებული და შეუჩვეველი არაფერი მიგრძვნია. ვარჯიშებისთვის ალღოს აღება არ გამჭირვებია. კვიპროსზე საკონტროლო მატჩებიც გვექნება და იქ უნდა დავამტკიცო, რომ „დინამოში" თამაშის ღირსი ვარ.

**— გრძნობ, რომ „ვიტ ჯორჯიაზე" მაღალი კლასის გუნდში გადახვედი?**

— „ვიტ ჯორჯიასი" ყოველთვის მადლიერი ვიქნები. ერთს კი ვიტყვი, რომ „დინამოში" გადმოსვლით ახალი ეტაპი დავიწყე. ქართული ფეხბურთის ფლაგმანის წევრი ვარ და ყველა ფეხბურთელისთვის სასურველია აქ თამაში.

*ლაშა ჭელიძემ* ზაპოროჟიეს „მეტალურგში" ფეხი ვერ მოიკიდა, თუმც ამის მიზეზი პირველივე მატჩში მიღებული ტრავმა იყო. ლაშა უკრაინულ პერიოდს მწარედ იხსენებს — „მეტალურგი" კლუბი კი არა, ქუჩა იყო და „დინამოსთან" ცა და მიწასავით განსხვავდებაო...

— „დინამო" სულ სხვა დონეა. საფეხბურთო ატმოსფეროა და ყველა მხარში გიდგას. შენ შეძელი და აქ დიდი ფეხბურთის სათამაშოდ ყველა პირობაა. ვარჯიშები აქ უფრო აზრიანია, იქ კი უაზრო დატვირთვები იყო, ისეთი, ფეხბურთელს რომ არ სჭირდება. წარმოიდგინეთ, ზაპოროჟიეში სამჯერ მეტს ვშრომობდი, მაგრამ „მეტალურგი" ათჯერ რომ შეხვდეს „დინამოს", ერთსაც ვერ მოუგებს.

**— შენ კარგა ხანს ტრავმა გაწუხებდა და ახლა სრულად გამოჯანმრთელდი?**

— ახლა არაფერი მაწუხებს. ზაპოროჟიეში პირველივე თამაშში ტვინის შერყევა მივიღე, თვენახევარი საავადმყოფოში ვიწექი. როცა გამოვკეთდი, წონა მქონდა მომატებული და ფიზიკურად ძალიან გამიჭირდა. ამ დროს კლუბის ხელმძღვანელები და მწვრთნელები მხარში უნდა დაგიდგნენ, მაგრამ იქ ოლონდ ფეხი გადაგიბრუნდეს და მეტი არც უნდათ. ჩასაფრებულები არიან, რამე დააშავო და ჯარიმა აგკიდონ. მოკლედ, არასაფეხბურთო სიტუაცია იყო.

**— ლეგიონერი რომ იყავი, იმიტომ?**

— არა, უკრაინელი ფეხბურთელებიც ასე იყვნენ. ქუჩური მიდგომა იყო მწვრთნელების მხრიდან.

**— მართალია, „მეტალურგს" „დინამო" ჯობია, მაგრამ უკრაინელებს ჩვენზე უკეთესი ჩემპიონატი აქვთ და ამ მხრივ საქართველოში ჩამოსვლას უკანგადადგმულ ნაბიჯად ხომ არა თვლი?**

— არა, პირიქით. უკრაინაში სულ ოთხი-ხუთი გუნდია, რასაც გუნდი ჰქვია, თორემ დანარჩენები ქუთაისის „ტორპედოსაც" ვერ შეედრებიან. „დნიპროს" გარდა ყველა კარგი უკრაინული კლუბი ლეგიონერებით ცოცხლობს. თუნდაც დონეცკის „მეტალურგი" ავიღოთ, სადაც ყველაფრის გამკეთებლები დემეტრაძე და ჯამარაული იყვნენ. საქართველოში ბევრი ძლიერი ფეხბურთელია, თანაც, ბოლოს და ბოლოს, „დინამოში" ჩამოვედი და რომელ სინანულზეა ლაპარაკი.

*კობა შალამბერიძეს* წინა სეზონშიც უთამაშია უმაღლეს ლიგაში, თუმც „დინამო" რომ თბილისური „სპარტაკისგან" შორეული პოლუსია, ესეც კარგად იცის:

— შესაძლოა, ცოტა გამიჭირდეს, მაინც „დინამოა" და აქ თავის გამოჩენა იოლი არ არის. ისე, ვარჯიშებს ალღო ავუღე და შებოჭილად არ ვგრძნობ თავს. აღარც „დინამოს" დუბლებში ვთამაშობდი, მაგრამ ახლა სხვა პასუხისმგებლობაა და ყველანაირად ვეცდები, იმედები გავამართლო.

*შოთა ბაბუნაშვილი:* გუნდს იოლად შევეწყვე. კარგი ბიჭები არიან და თავს უცხოდ საერთოდ არ ვგრძნობ. კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია, მაგრამ ალბათ ამასაც მალე მოველები. რა ხანია, ხელფასიანი შეკრება არ გამივლია და თავიდან ცოტა კი გამიჭირდა, მაგრამ ეს არაფერია — უკვე მდგომარეობა კარგადაა. იმედია, მალე სრულფასოვანი დინამოელი გავხდები.

*გია მეგრელაძე:* „დინამოში" ძალიან თბილად მიმიღეს და ეს სასიამოვნო იყო. უცხოეთში წასვლას კი ვაპირებდი, მაგრამ „დინამოს" ვარიანტი რომ გამოჩნდა, ბევრი არც მიფიქრია — „დინამო" მაინც „დინამოა" და ეს კლუბი ჩემთვის ბევრს ნიშნავს.

**ილია ნანობაშვილი**

**გურამ დოლენჯაშვილის**

***ფოტოები***









**„დინამოს" ხუთი ახალი სახე: გია მეგრელაძე, ლაშა ნოზაძე, კობა შალამბერიძე, შოთა ბაბუნაშვილი და ლაშა ჭელიძე**



# მელოდეთ თებერვალში

## ჩავა ლოკომოტივი მოსკოვში და წავა აშვეთია ესპანეთში



*მოსკოვის „ლოკომოტივი" იტალიურ შეკრებაზეა, მაგრამ რკინიგზელები იქ მიხეილ აშვეთიას გარეშე ემზადებიან. საქართველოს ნაკრების თავდამსხმელს დიდი დატვირთვები ჯერაც აკრძალული აქვს და მოსკოვში ამიტომაც დარჩა. მიხო იური სიომინის მიერ დატოვებული ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს და დროდადრო ექიმებსაც ეჩვენება. მედიკოსების თქმით, აშვეთიას მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მალე მას სრული დატვირთვით ვარჯიშის ნებასაც დართავენ. ერთი სიტყვით, აშვეთია იტალიიდან დაბრუნებულ „ლოკომოტივს" შეუერთდება და 28 იანვარს ესპანურ შეკრებაზეც გაჰყვება...*

-- მოსკოვში ვარ და ვვარჯიშობ. უკეთესობა თანდათან იგრძნობა და ფეხიც აღარ მაწუხებს. ექიმებიც კმაყოფილები არიან. მოკლედ, თავს კარგად ვგრძნობ.

**— ადრე მითხარი, გუნდს იტალიაში, პირველივე შეკრებაზე გავყვებიო...**

— კი შემეძლო იტალიაში წასვლა, მაგრამ რომ დავფიქრდი, აზრი აღარ ჰქონდა. სრული დატვირთვით მაინც ვერ ვივარჯიშებდი და თან ექიმებთან კონსულტაციებიც უნდა გამევლო, ამიტომაც დავრჩი.

**— და სპეციალური პროგრამით ვარჯიშობ...**

— თან აქ უკეთესი პირობებია საამისოდ. ტრენაჟორები, აუზი და ასეთი რამეები ჩემთვის აუცილებელია. იტალიაში კი გუნდისგან მოშორებით, მარტოს რა უნდა მეკეთებინა?!

**— მეორე შეკრებისთვის მზად იქნები?**

— აუცილებლად. ესპანეთში უეჭველად წავალ.

**— და სრული დატვირთვით ვარჯიშსაც დაიწყებ?**

— მანდამდე ბევრი ახლაც არ მიკლია. ბურთით უკვე ვვარჯიშობ, 20 იანვრიდან კი სრულადაც დავიტვირთები.

**— თანამეგობრობის თასზე შენი თამაში ალბათ საბოლოოდ გამოირიცხა.**

— მეც ასე ვფიქრობ. ასეთი ტრავმის მერე დარბაზში თამაში სისულელეა. უფრო თებერვალში მელოდეთ, ესპანურ შეკრებაზე ალბათ ამხანაგურ მატჩებში ვითამაშებ.

**ქახა შალამბერიძე**

# კუჯუ — ფრაის ახალი ინტერნაციონალი

## იაშვილის ძელი, ხიზანეიშვილის ცენტრი და ცქიტიშვილის გრიპი



პორტუგალიურ შეკრებაზე მყოფმა „ფრაიბურგმა" ერთი ტესტ-მატჩიც ითამაშა — ფოლკერ ფინკეს გუნდი მეორე ბუნდესლიგის „დუისბურგს" შეხვდა და 2:0 მოუგო.

წინა საკონტროლო შეხვედრაში ფრანკფურტის „აინტრახტთან"(0:0) ფინკემ გუნდის ორი ახალწვეული პირველად ათამაშა — ავსტრიელი ანდრეას იბერცბერგერი და ოთარ ხიზანეიშვილი, „დუისბურგთან" კი მწვრთნელმა მესამე ახალწვეულიც ნახა საქმეში — ჰოლანდიელი შემტევი სამუელ კუჯუ, ვინც „ფრაიბურგში" ავსტრიული „ტიროლიდან" გადავიდა. ფინკემ 30 წლის კუჯუზე თქვა, ძალიან კარგი ფეხბურთელია და უცნაურია, ამდენ ხანს „ტიროლზე" უკეთეს გუნდში რატომ ვერ გადავიდაო.

„დუისბურგთან" მატჩი „ფრაიბურგის" აშკარა უპირატესობით წარიმართა, პირველ ტაიმში იბრაჰიმ ტანკომ გაიტანა გოლი, მეორეში ტარგე ჰოლმანმა. თავის გამოჩენის შანსი ალექსანდრე იაშვილსაც ჰქონდა, მაგრამ თავური ძელს შეაწყვიტა. რაც შეეხება ხიზანეიშვილს, ის კვლავაც ცენტრალური მცველი გახლდათ, ხოლო ლევან ცქიტიშვილი გრიპისგან ჯერ სრულად ვერ გამოჯანმრთელდა და ამიტომაც ვერ ითამაშა.

ნამატჩევს ფინკე თავისი გუნდის თამაშით კმაყოფილი იყო და შეგირდებიდან ტანკოზე თქვა, განსაკუთრებულად უნდა გამოვარჩიოო. „ფრაიბურგის" დუისბურგული შემადგენლობა ასეთი იყო: *გოლცი, იბერცბერგერი (ბერნერი 68), მოჰამადი (შუმანი 60),* ***ხიზანეიშვილი*** *(დიარა 60), რიტერი (ჰოლმანი 60), ჰერმელი (მიულერი 56), ანტარი (კონდე 68), კულიბალი, კაირო (სანუ 56),* ***იაშვილი****, ტანკო (პიტროიპა 75).*

**დავით თავართქილაძე**

# ცაკარიასი მოსკოვურ სიას ლოკომოტივით გაცხრილავს



**თანამეგობრობის თასის** მორიგი გათამაშება მოსკოვში 15 იანვარს იწყება და ტურნირზე ჩვენგან საქართველოს ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას" ნაცვლად „თბილისი" მიემგზავრება — ლუის ცაკარიასის გუნდი რუსეთის დედაქალაქში ხვალ გაფრინდება.

ცაკარიასმა უკვე შეიგულა 21 ფეხბურთელი, რომელთაგან მხოლოდ 18-ს წაიყვანს მოსკოვში. მწვრთნელისგან ჯერაც გაუცხრილავი, 21-კაციანი სია ასეთია:

***მეკარეები:*** *აკაკი დევაძე, სოსო გრიშიკაშვილი, ბექა შეყრილაძე;*

***მცველები:*** *სერგო ორბელაძე, დავით ოდიკაძე, რევაზ ქემოკლიძე, ზაალ ელიავა, გიორგი ლოლაძე, ბესიკ მიქიაშვილი;*

***ნახევარმცველები:*** *ანზორ კალაძე, გოგიტა გოგუა, რევაზ გეწაძე, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე, გოჩა ხოჯავა, შოთა ჯიქია, მიხეილ მესხი, გივი კვარაცხელია;*

***თავდამსხმელები:*** *გიორგი მიქაძე, გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე, გოგი ფიფია, სანდრო იაშვილი.*

დღეს კი „თბილისი" საკონტროლო მატჩს გამართავს — „ოლიმპის" აკადემიის ხელოვნურსაფარიან მოედანზე თბილისის „ლოკომოტივს" გაეჯიბრება.

**დავით თავართქილაძე**

# ალეკო გოგობერიშვილი უკრაინულ პასუხს ელის



**თბილისის** „ლოკომოტივის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ალეკო გოგობერიშვილი გუნდიდან წასვლას რომ აპირებდა, არახალია, თუმც გოგობერიშვილი „ლოკომოტივში" განაგრძობდა ვარჯიშს. ახლა კი ეს 27 წლის ნახევარმცველი „ლოკომოტივში" აღარ ვარჯიშობს, ინდივიდუალურად ემზადება სხვა გუნდში გადასასვლელად.

როგორც თავად ალეკომ გვითხრა, ის დღე-დღეზე ელის საბოლოო პასუხს ერთ-ერთი უკრაინული კლუბიდან. გოგობერიშვილს ბერძნული ვარიანტიც აქვს, თუმც, მისი თქმით, უკრაინული უფრო რეალურია.

გოგობერიშვილს „ლოკომოტივთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება, მაგრამ კლუბი და ფეხბურთელი ახალ პირობებზე ვერ შეთანხმდნენ.

**დავით თავართქილაძე**



# გახოკიძე ტვენტეში ძველებურად ფასობს და პასობს

**ჰოლანდიურმა** „ტვენტემ" წლის მეორე ტესტ-მატჩი გამართა და გიორგი გახოკიძე კვლავ რიგიანად გაისარჯა. „ტვენტემ" 1:1 ითამაშა ჰოლანდიის მეორედივიზიონელ „აპელდორნთან", 29 წლის ქართველმა მარცხენაფლანგელმა სრული 90 წუთი დაჰყო მინდორზე და, კლუბის ვებ-გვერდის ცნობით, ორჯერ ნკუფოს და ერთხელ გოლის ავტორ შუკოვს მიართვა კარგი პასები.

შეგახსენებთ, რომ გახოკიძემ ოთხი დღის წინ „ექსელსიორთანაც" (2:2) სრული 90 წუთი ითამაშა.

ჰოლანდიის ჩემპიონატი 22 იანვარს განახლდება, „ტვენტე" ტილბურგში ესტუმრება „ვილემს" და, როგორც ტესტ-მატჩებიდან ჩანს, გახოკიძეს ძირითადში მოხვედრის პრობლემა არ უნდა შეექმნას.

**ილია ნანობაშვილი**



არიგო საკიმ ფერნანდო მორიენტესი ლივერპულში გააცილა

# გაიყიდა!

## რეალმა ფერნანდო მორიენტესი, ლივერპულმა 9 მილიონი დათმო

*ესეც ასე, ფერნანდო მორიენტესი ამჯერად „ლივერპულმა" წაიყვანა. მოგეხსენებათ, ესპანელი ფორვარდი „რეალს" რატომღაც ათავლწუნებული ჰყავს და რა ხანია, იმის მცდელობაში იყო, სადმე სარფიანად გაეყიდა*

„რეალისა" და „ლივერპულის" გარიგების საფასური ცხრა მილიონი ევროა, მორიენტესსა და მის ახალი კლუბს შორის კონტრაქტის ვადად კი ოთხ წელს ასახელებენ, თუმცა პირადი კონტრაქტი ჯერ ხელმოწერილი არ არის. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ მორიენტესი 28 წლისაა. მისი ინგლისური დებიუტი კი სავარაუდოდ ამ შაბათს, თვით „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ შედგება.

„ლივერპულში" ენთუზიაზმით მივდივარ — თქვა მორიენტესმა მადრიდში „ლა როსასის" საწვრთნელ ბაზაზე გამართულ პრესკონფერენციაზე — იქ თავდაუზოგავად ვიმუშავებ და დარწმუნებული ვარ, ჩასვლისთანავე ვიგრძნობ თავს გუნდის წევრად. „რეალს" გაორებული გრძნობით ვტოვებ. აქ შვიდი შესანიშნავი წელი გავატარე, „რეალმა" ყველაფერი მომცა და კლუბის მისამართით მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. თანაც „რეალიდან" ჯილდოებით დატვირთული მივდივარ, რაც ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს."

მორიენტესი „რეალში" 1997 წლიდან თამაშობდა, სამჯერ ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ორჯერაც პრიმერადივიზიონის ჩემპიონი გახდა, წინა სეზონში კი, გეხსომებათ, „მონაკოში" იყო განათხოვრებული და ერთი ნაბიჯილა დააკლდა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედ მოგებამდე.

„ლივერპულულ დებიუტს მოუთმენლად ველი და იმედი მაქვს, უკვე ამ კვირაში, „მანჩესტერის" წინააღმდეგ შევძლებ თამაშს" — დასძინა ფორვარდმა.

მორიენტესი ინგლისში გუშინ გვიან ღამით გაემგზავრა, დღეს კი სამედიცინო შემოწმებას გაივლის, რომლის დროსაც პრობლემები, წესით არ უნდა შეექმნას.

საბოლოოდ კი ფერნანდო მორიენტესი „ლივერპულისთვის" მეხუთე ესპანელი ფეხბურთელია, რომელიც მენეჯერად რაფაელ ბენიტესის დანიშვნის მერე იყიდა. ამ სეზონში ესპანეთიდან ინგლისში ანტონიო ნუნიესი, ლუის გარსია, ხოსემი და ხაბი ალონსო გადაბარგდნენ.

ისიც სათქმელია, რომ მორიენტესი ამ სეზონში „ლივერპულს" ჩემპიონთა ლიგაში ვერ დაეხმარება, რაკი ლიგაში „რეალში" ითამაშა. პრემიერლიგაში კი მორიენტესს ბევრი სამუშაო ელის, რადგან „ლივერპული" უხვგოლიანობით ვერ დაიკვეხნის — ბოლო ათ შეხვედრაში გუნდმა 17 გოლი გაიტანა და ამათგან 5 მხოლოდ ერთ მატჩში „ვესტ ბრომვიჩთან". ჰოდა, დანარჩენ 9 შეხვედრაში 12 გოლი ამბიციური კლუბისთვის ძალიან ცოტაა.

**ირაკლი ნინიძე**

# გრავესენს მადრიდში ელიან

თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მადრიდის „რეალი" ევერტონელ თომას გრავესენს გადაიბირებს და ეს გარიგება ორი მილიონი გირვანქა დაუჯდება

**დანიელი** ფეხბურთელის აგენტი იონ სივაბეკი მადრიდში იყო ჩასული და რეალელებთან მოლაპარაკების მერე BBC-ს უთხრა: „მადრიდში იმიტომ ჩამოვედი, რომ აქაურებს მოვუსმინო. არაფერზე შევთანხმებულვართ, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ შენით „რეალი" ინტერესდება, ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. შემიძლია ვთქვა, რომ „რეალის" შეთავაზება საკმაოდ სერიოზულია და ახლა ყველაფერი „ევერტონის" პასუხზეა დამოკიდებული."

საინტერესო ფაქტია: გრავესენს „ევერტონთან" კონტრაქტის ვადა ზაფხულში უსრულდება, მაგრამ მადრიდელები ჩქარობენ და ახლავე მზად არიან იყიდონ. ამ გარემოებამ კი, წესით „ევერტონიც" უნდა დააჩქაროს, თორემ ზაფხულში ფეხბურთელს უფასოდ დაკარგავს.

ცნობილია, რომ გრავესენის გადაბირება „მანჩესტერ იუნაიტედს" და „მილანსაც" სურთ.



ცნობილია „ევერტონის" მენეჯერის დევიდ მოიესის პოზიციაც, მას უნდა, რომ გრავესენი იანვრის ბოლომდე, ანუ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე შეინარჩუნოს, რამდენიმე მატჩშიც გამოიყენოს და მხოლოდ ამის მერე გაუშვას.

**კოტე კეკელია**



*დელა კაპიტალეს დერბი, რომელშიც „ლაციომ" „რომა" დაამარცხა, ჩანს ჯერ არ დასრულებულა და მასზე მსჯელობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება. საქმე პაოლო დი კანიოს ეხება, რომელმაც „რომაზე" გამარჯვება ფაშისტურ ყაიდაზე ხელის აღმართვით აღნიშნა*

# დი კანიოს ნაცისტური ჟესტი

**ცნობისთვის**, დი კანიო დიდი ხანია, იტალიელი ულტრანაციონალისტებს თანაუგრძნობს, რომლებიც თავისი არსით ნეოფაშისტები არიან.

დერბის მერე ფაშისტურად ხელის აღმართვისთვის დი კანიო ბევრმა გააკრიტიკა, მათ შორის რომაელმა ვინჩენცო მონტელამ, რომელმაც თქვა: „თამაშის დროს ადრენალინის მომატებამ ფეხბურთელს შესაძლოა ბევრი სისულელე ჩაადენინოს, მაგრამ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ბავშვები გვიყურებენ და მათ ცუდი მაგალითი არ უნდა მივცეთ. დავუშვათ, ახალგაზრდა კაცს შეიძლება რამე შეეშალოს, მაგრამ დი კანიო 36 წლისაა და სისულელეები არ ეპატიება."

მონტელას ნათქვამის პასუხად დი კანიომ თქვა: „მან მორალისტად წარმოიდგინა თავი და ისე იქცევა და ლაპარაკობს, სამაგალითო მამები რომ მოძღვრავენ შვილებს. მინდა ვუთხრა, რომ ჩემი შვილები ძალიანაც ამაყობენ ჩემით, რადგან იციან, რომ ტყუილს არასდროს ვამბობ და პატიოსნად ვიქცევი. მეეჭვება, მონტელას ოჯახიც ჩემი ოჯახივით ამაყი იყოს მისით."

ამბავს გაგრძელება ალბათ ექნება.

**კოტე კეკელია**

# ნუ იქნება ოღონდ ბუნტი!

## იტალიას ევრო 2012 უნდა

*გუშინ იტალიელებმა განაცხადეს, რომ 2012 წელს ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა სურთ. იტალიელთა მეტოქეები ან საბერძნეთი ან უკრაინა-პოლონეთის გაერთიანებული კამპანია იქნება. მასპინძლობის სურვილი ჯერჯერობით მეტს არავის გამოუთქვამს. უეფა მასპინძელს 2006 წლის დეკემბერში დაასახელებს*

თუ ინფრასტრუქტურის განვითარების მიხედვით ვიმსჯელებთ, იტალიას გამარჯვების კარგი შანსი აქვს, მაგრამ არსებობს ერთი გარემოებაც, რამაც იტალიის კანდიდატურის წინააღმდეგ შესაძლოა ძალიან ცუდად იმოქმედოს. ლაპარაკია რასიზმსა და ხულიგნობაზე, რაც იტალიის სტადიონებზე უცხო ხილი არ არის.

„ჩვენ არამარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთლიანად ევროპის პრესტიჟს უნდა გავუფრთხილდეთ — თქვა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ფრანკო კარარომ — უფრო შეურიგებლები უნდა ვიყოთ რასიზმისა და სტადიონებზე არეულობების წინააღმდეგ."

ფედერაციის მდივანმა ჯანი ლეტამ კი თქვა: „ყველამ იცის, რას ნიშნავს ფეხბურთი იტალიელებისთვის. თუ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას მოვიპოვებთ, ამით არამარტო სპორტი მოიგებს, არამედ ის ქალაქებიც, რომლებიც ჩემპიონატს უმასპინძლებენ. მოგეხსენებათ, იტალია ტურიზმის ქვეყანაცაა და ჩვენთან ტრანსპორტის, გზების, სასტუმროთა თუ სხვა ინფრასტრუქტურა საუკეთესოდაა განვითარებული. ამდენად უკვე დღეს იტალიაში ყველაფერი მზადაა ჩემპიონატის სამასპინძლოდ."

შეგახსენებთ, რომ უძლიერესი საფეხბურთო ფორუმებისთვის იტალიას სამჯერ უმასპინძლია. ორჯერ, 1934 და 1990 წლებში მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი იყო, 1968-ში კი იქ ევროპის ჩემპიონატი გაიმართა.

და ისევ რასიზმსა და უწესრიგობებს მივუბრუნდეთ და ბოლო დროის გახმაურებული ამბები გავიხსენოთ:

— შარშან სექტემბერში „რომასა" და კიევის „დინამოს" მატჩი შეწყდა, რაკი არბიტრ ანდრეს ფრისკს ტრიბუნიდან ნასროლი საგნით თავი გაუტეხეს.

— შარშანვე რომაული დერბი იმ მიზეზით ჩაიშალა, რომ ტრიბუნებზე ჭორი გავრცელდა, „სტადიო ოლიმპიკოს" სიახლოვეს პოლიციელებმა ბავშვი მოკლესო.

პრინციპულ მატჩებზე მაშხალების სროლა და ცემა-ტყეპა ხომ ჩვეულებრივი ამბავია, ისევე როგორც, პოლიციის ჩარევა ცრემლსადენი გაზის გამოყენებით.

და ერთიც: თუ ჩემპიონატი იტალიაში გაიმართა, ტურნირს 12 ქალაქი უმასპინძლებს, რომელთა გეოგრაფია ალპური უდინედან სიცილიურ პალერმომდე იქნება გადაჭიმული.

**ირაკლი ნინიძე**

# დაივიწყეთ წარსული!

## ლუშემბურგომ რეალს მოგონებები აუკრძალა

*თქმაც არ უნდა: ვანდერლეი ლუშემბურგო „რეალში" ხმაურით მივიდა. ერთია, რომ, რაც კი „რეალში" ხდება, ყოველთვის იწვევს ხმაურს, მაგრამ არც უიმისობაა, რომ თავად ლუშემბურგოც ქარიზმატული ადამიანია, როგორც ჟურნალისტები ამბობენ — ნიუსმეიკერი*



**— ახალ კლუბში მუშაობის გამარჯვებით დაწყება ძალიან მნიშვნელოვანია...**

— ნებისმიერი გამარჯვება მნიშვნელოვანია. გამარჯვება გამშვიდებს. პირადად მე ყველაზე მეტად ფეხბურთელების თავდადება მსიამოვნებს. როცა ფეხბურთელი ბოლომდე იხარჯება, ეს მწვრთნელის გამარჯვებას ნიშნავს.

**— რას ნიშნავს მოტივაცია „რეალისთვის"?**

— მოტივაცია მაშინაც საჭიროა, როცა ვთქვათ, დილას სახლიდან გამოდიხარ. თუ მოტივაცია არ გაქვს, ვერაფერს მიაღწევ.

**— თქვენ რომელი საფეხბურთო სკოლის წარმომადგენელი ხართ?**

— ალბათ ბრაზილიურის, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თანამედროვე ბრაზილიელი მწვრთნელები უცხოეთში მიდიან და იქ იძენენ გამოცდილებას. ახალგაზრდობაში ძალიან მომწონდა მარიო ზაგალო, მაგრამ სხვა ყაიდის მწვრთნელებიც ძალიან მომწონს, მაგალითად, ფაბიო კაპელო ან არიგო საკი. მასთან 9 წლის წინ 15 დღე ვიმუშავე და მისი მეთოდები კარგად შევისწავლე.

**— „ატლეტიკოსთან" მატჩისას რაცია გქონდათ, ამან ყურადღება მიიპყრო...**

— არ ვიცი რატომ. ბრაზილიაში ყველა ასე მუშაობს. მწვრთნელი რაციით უკავშირდება თანაშემწეებს, რომლებიც ტრიბუნებზე სხვადასხვა ადგილას სხედან. ასე მუშაობა მოსახერხებელია. იქიდან, სადაც მე ვდგევარ, მთელი მოედანი კარგად არ ჩანს.

**— ჩემპიონთა ლიგაში „იუვენტუსთან" მატჩი ახლოვდება. იქამდე ფეხბურთელებისთვის რაიმე ახლის სწავლებას მოასწრებთ?**

— „რეალმა" მწვრთნელის შეცვლასთან ერთად მენტალიტეტიც შეიცვალა. თუმცა მე არ გამოვარჩევდი „იუვენტუსთან" თამაშს. უფრო სწორად არ ვიტყოდი, რომ ეს ჩვენი მთავარი მატჩი იქნება ამ სეზონში. თითოეულ შეხვედრას თანაბარ ყურადღებას ვუთმობთ.

**— რატომ არის თანამედროვე ფეხბურთში საყრდენი ნახევარმცველის პოზიცია ასეთი მოდური?**

— ფეხბურთი ორკესტრია და ყველა ვიოლინოზე ვერ დაუკრავს. სხვა ინსტრუმენტებიც მნიშვნელოვანია. დაცვითი ყაიდის მოთამაშეც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ბევრი გოლის გამტანი ფორვარდი. რონალდო ავსებს რაულს, რაული ზიდანს და ასე შემდეგ.

**— თქვენ ხშირად ესაუბრებით რაულს. თუ საიდუმლო არ არის, რაზე?**

— მე მომწონს მისი ცხოვრების სტილი, მისი ლაპარაკის [illegible] ყოველთვის პირდაპირ ამბობს სათქმელს. ის ყოველთვის გულმოდგინედ ვარჯიშობს. ერთხელ ვუთხარი, როცა გოლს გაიტან, სიმშვიდე შეინარჩუნე, მაშინ მეორეს და მესამესაც გაიტან-მეთქი. რაულის მსგავსი ფეხბურთელები ძალიან ბევრს ფიქრობენ გოლზე და ხანდახან სწორედ ეს არის მათი პრობლემა. ეშინიათ, ვაითუ, ვერ გავიტანოო. ამ ტვირთისგან თუ თავისუფლები იქნებიან, მათი შედეგიანობაც გაიზრდება.

**— იკერ კასილიასი „ატლეტიკოსთან" მატჩის გმირი გახდა...**

— იკერს დიდი ხანია ვიცნობ. ის გულადი მეკარეა, თავდამსხმელთან პირისპირ დარჩენის არ ეშინია.

**— რა უთხარით ფეხბურთელებს, როცა პირველად შეხვედით გასახდელში?**

— წარსულის დამსახურებებსა და მიღწევებზე მნიშვნელოვანი ჩვენი ხვალინდელი დღეა. ვინც მოგონებებით აპირებს ცხოვრებას, შეუძლია სახლში დარჩეს, არ მაინტერესებს, წარსულში ვის რამდენი თასი აქვს მოგებული-მეთქი.

**— იღბლიანი კაცი ჩანხართ...**

— დიახ ასეა, მაგრამ იღბალი შრომით მოვიპოვე.

# დაო ძმისთვისაო

## ლეოკადია ვანდერლეის თავზე ნათელს ხედავს

**მადრიდის** „რეალის" მწვრთნელმა, ვანდერლეი ლუშემბურგომ „სოსიედადთან" გადადებული 7-წუთიანი მატჩის წინ მავანი ჟურნალისტის კვიმატურ შენიშვნაზე, რომელიც ბრაზილიელის პირველი ესპანური თამაშის უცილობელ მოგებას შეეხებოდა, ფრთხილად მიუგო: წინასწარ ვერაფერს გეტყვით, მწვრთნელი ვარ, ჯადოქარი კი არაო. გეხსომებათ, რომ „რეალმა" ის თამაში მოიგო, ხოლო რამდენიმე დღეში მადრიდულ დერბიში „ატლეტიკო" 3:0 დაამარცხა.

ესპანური პრესაც ლუშემბურგოს შესაშურ იღბლიანობაზე ალაპარაკდა, ცნობისმოყვარეებმა ისიც დაადგინეს, რომ კასტილიელთა თავკაცი კანდომბლეს (ბაიელ შავკანიანთა პროაფრიკული ფატალისტური რელიგია) მიმდევარი ყოფილა.

ეს ამბავი ჟურნალისტებმა ლუშემბურგოს უმცროსი დისგან შეიტყვეს, ვინაც 50 წლისაა, 8 შვილის დედაა და ბრაზილიის პატარა ქალაქ ვიტორიაში ცხოვრობს. რაღა დასამალია და, ქალბატონი ლეოკადია დიდად სახელგანთქმული გულთმისანი ყოფილა. ამ პატივცემულმა ჯადოქარმა მასთან ნასტუმრებ „ელ მუნდო დეპორტივოს" კორესპონდენტს ამცნო, რომ 2005 წელი მისი ძმის წელი იქნება და იგი „რეალში" ფანტასტიკურ წარმატებებს მიაღწევს. „ვანდერლეის თავზე საოცარ ნათელს ვხედავ. ჩემი ძმა „რეალს" გააჩემპიონებს და ისეთ გამარჯვებებს იზეიმებს, რომელთა შესახებ თაობები ილაპარაკებენ. წყლის ღმერთებმა (OS ORIXAS) მითხრეს, რომ წელს ვანდერლეი ბედნიერი უნდა იყოს — წინასწარმეტყველებს ლეოკადია — ვანდერლეის კანდომბლესი სჯერა. ის იმიტომ არის ასეთი ნიჭიერი, რომ ჩვენი ღმერთები ეხმარებიან" — დაავგირგვინა ლეოკადიამ.

**ლადო ხომერიკი**



# მეხუთე მოხსნილი მანსანოა



მიუხედავად იმისა, რომ გრეგორიო მანსანოს კონტრაქტის თანახმად „მალაგა" 2006 წლამდე უნდა გაეწვრთნა, ანდალუზიური კლუბის თავკაცობამ მასთან თანამშრომლობა აღარ ისურვა და გუშინ თანამდებობიდან გაათავისუფლა. მანსანო მალიორკელი ბენიტო ფლოროს, ნუმანსიელი პაკო ალვაროსა და მადრიდელების, ხოსე ანტონიო კამაჩოსა და მარიანო გარსია რემონის შემდეგ მეხუთე მწვრთნელია, რომელსაც ამ სეზონში სამსახური ნაადრევად დაატოვებინეს.

მანსანოს ადგილს დროებით „მალაგა B-ს" მწვრთნელი ანტონიო ტაპია დაიჭერს, სწორედ ის გაიყვანს გუნდს „სევილიასთან" სათამაშოდ. კლუბის ბოსებს ტაპია ტყუილუბრალოდ არ შეურჩევიათ, ამ მწვრთნელმა თავი სეგუნდადივიზიონში კარგი შედეგებით ისახელა და, ვინძლო, „მალაგაში" მისი დანიშვნა დროებითი ამბავიც არ იყოს.

**ლადო ხომერიკი**

# პატივის თავი 600 ევრო ღირს

**მადრიდის** „ატლეტიკო" ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ 600 ევროთი დააჯარიმა, რადგან დედაქალაქურ დერბიში „ატლეტიკოს" ფანებმა „რეალის" რობერტო კარლოსისა და რონალდოს კანის ფერი ცუდად ახსენეს. ასე ცოტა იმიტომ აკმარეს დამნაშავე ქომაგთა გუნდს, რომ კლუბის ბოსებმა გულშემატკივრების დასაშოშმინებლად ყველაფერი იღონეს. სტადიონზე გამოაცხადეს, მეტოქე ფეხბურთელთა შეურაცხყოფა შეწყვიტეთო, თუმც, როგორც მსაჯის მოხსენებაში ეწერა, ამ თხოვნის შემდეგ „ატლეტიკოს" ქომაგები უფრო მეტად აღრიალდნენ.

„ალბასეტესაც" 600 ევრო წაართვეს, რადგან დეკემბერში „ბარსელონასთან" შეხვედრაში სამუელ ეტოო ალბასეტელმა ფანებმა სიშავის გამო ლანძღეს.




„ატლეტიკოს" ფანებმა რონალდო რასისტულად შეურაცხყვეს

ფედერაციას სეგუნდადივიზიონელებიც არ გამორჩენია. „ვალიადოლიდის" სამმა ფეხბურთელმა „პოლი ეხიდოსთან" მოგებულ მატჩში გატანილი მესამე გოლის შემდეგ მაისურები თავზე წამოიფარეს. შიდა სამოსზე კი თანაგუნდელის სურათი ეხატათ წარწერით: „ორნოს, ჩვენ შენ გელით!" საქმე ისაა, რომ „ვალიადოლიდის" ურუგვაელი ლეგიონერი ხერმან ორნოსი დეკემბრის ბოლოს სამშობლოში ავტოავარიაში მძიმედ დაშავდა და მეგობრებმაც თანაგრძნობა ასე გამოხატეს, რაც ფედერაციას არ მოეწონა. რობერტო ლოსადას, არიელ ადურის და ოსკარ სანჩესს თვითშემოქმედება 500-500 ევრო დაუჯდათ. სამეულმა ჩინოვნიკების გადაწყვეტილებას უგულობა უწოდა და შესაძლოა, კიდეც გაასაჩივრონ.

**მაჭა ხუციშვილი**

*იანვარია და სანამ ტრანსფერფანჯარა ღიაა, ფეხბურთელები მიდი-მოდიან, ფულიც ჯიბიდან ჯიბეში გადადის, მაგრამ არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეს ორი ჯიბე ერთი კაცის შარვლისა გამოდგეს. როგორ? ამ ბოლო დროს გაჩარხულ რამდენიმე საფეხბურთო გარიგებაში ან რუსი ბიზნესმენის ან კიდევ ყოფილი „საიუზის“ რომელიმე ქვეყნის მოქალაქის ფულიანი ხელი ურევია. ასეთი საქმეები აქამდე ევროპაში იჩარხებოდა, ახლა მათი ხელი ბრაზილიასაც მისწვდა*


ბორის ბერეზოვსკი


რომან აბრამოვიჩი


ბადრი პატარკაციშვილი

# რუსული კარუსელი
## ოლიგარქების ფული ბრაზილიაშიც ტრიალებს

არგენტინული ფეხბურთის ქომაგთ ეცოდინებათ, რომ ბრაზილიის „კორინთიანსმა“ სამხრეთ ამერიკისთვის სარეკორდო სატრანსფერო თანხის (20 მილიონი დოლარი) სანაცვლოდ „ბოკა ხუნიორსიდან“ კარლოს ტევესი შეიძინა. საიდან ამდენი ფული „კორინთიანსში“? პასუხი: ეს კლუბი ფონდ **MSI**-მა (მედია სპორტ ინვესტმენტი) შეიძინა. ამ ფონდის დამფუძნებლები არიან კია ჯურაბჩიანი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი და რომან აბრამოვიჩი, რომელსაც **MSI**-ის 20 პროცენტი ეკუთვნის. ამბიციურ საფეხბურთო პროექტში მონაწილეობას ბორის ბერეზოვსკიც აპირებს. მას ბრაზილიური კლუბისთვის ახალი სტადიონის მშენებლობა განუზრახავს, ეს ამბები რუსულმა „ვრემია ნოვოსტეიმ“ გამოქექა.

ვინ არის კია ჯურაბჩიანი? მას რუსეთში იცნობენ, როგორც საგამომცემლო სახლ „კომერსანტის“ ოფიციალური მყიდველს. ბადრი პატარკაციშვილი თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტია, ხოლო ბორის ბერეზოვსკი აქამდე საფეხბურთო ბიზნესში არ ჩარეულა.

„ვრემია ნოვოსტეის“ კორესპონდენტთან საუბარში ბერეზოვსკიმ განაცხადა: „ვიცი, რომ საფეხბურთო ბიზნესში ფულის დაბანდებას ჩემი მეგობარი ჯურაბჩიანი აპირებს და, რამდენადაც მახსოვს, ამას კომპანია **MSI**-ის დახმარებით გააკეთებს. ისიც შევიტყვე, რომ მას ბრაზილიური „კორინთიანსი“ ამოურჩევია და მეც შემომთავაზა ამ პროექტში მონაწილეობა, მაგრამ ვიუარე. ინვესტორებიც უნახავს, თუმც ვერ გეტყვით, ახლა საქმე როგორ მიდის. ისიც გავიგე, რომ ჩემი მეგობარი ბადრი პატარკაციშვილიც აპირებდა ამ პროექტის განხილვას, მაგრამ დეტალურად არაფერი გამომიკითხავს“.

ბორის ბერეზოვსკიმ დაადასტურა, „კორინთიანსის“ ახალი სტადიონის მშენებლობაში შესაძლოა, ჩემი ფულიც ჩაიდოსო, რადგან: „სამშენებლო ბიზნესი ჩემთვის მისაღებია. ინვესტიციის საერთო ოდენობა 50 მილიონი დოლარი იქნება, მაგრამ ნაადრევია იმაზე საუბარი, მივიღებ თუ არა მონაწილეობას ამ პროექტში“.

ფონდი **MSI** ლონდონში სახლობს, არაოფიციალური ინფორმაციით, შარშან ლონდონურ ოფისში ბერეზოვსკი „კორინთიანსის“ პრეზიდენტ ალბერტო დუალიბს შეხვდა. სავარაუდოდ, ამ შეხვედრის შემდეგ გადაწყდა კიდეც ბრაზილიური კლუბის ბედი. შეთანხმების თანახმად, ფონდი 2005 წელს „კორინთიანსს“ 35 მილიონ დოლარს გადაურიცხავს.

ახლა კი მეტად უცნაური ფაქტი: იანვარში ცსკა-დან „კორიანთიანსში“ ბრაზილიელი ვაგნერ ლავი გადავიდა, რასაც მოსკოველები კატეგორიულად აპროტესტებენ — მას ჩვენთან ხუთწლიანი კონტრაქტი ჰქონდა და 15 იანვრამდე თუ არ დაბრუნდება, ფიფაში ვუჩივლებთო. საინტერესოა: ყველამ იცის, რომ „ჩელსის“ მფლობელ რომან აბრამოვიჩს წილი ცსკა-შიც აქვს. **MSI**-ს 20 პროცენტიც მას ეკუთვნის, ანუ „კორინთიანსში“ ხელი მიუწვდება და გაუგებარია, რა ხდება, ერთი ხელი მეორეს ეჭიდავება? ვაგნერ ლავი ბრაზილიაში ჩასულა, იქ პრესკონფერენციაც გაუმართავს, უკვე „კორინთიანსის“ ფეხბურთელი ვარო, უთქვამს და საკლუბო ფერებით შეღებილი ლენტიც წაუკრავს თავზე. მოსკოველები ბრაზილიელის სანაცვლოდ 20 მილიონ დოლარს ითხოვენ. ანუ აბრამოვიჩის მარჯვენა ხელი მარცხენას ფულს სთხოვს. ჯიბიდან ჯიბეში ფულის გადატანის ერთ-ერთი ფაქტი კი იანვარში უკვე მოხდა. ცსკა-დან ლონდონის „ჩელსიში“ ჩეხი ირჟი იაროშიკი გადავიდა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ჟოზე მაურინიუ იაროშიკზე ფიქრში ათენ-ალამებდა, მაგრამ ცსკა-ს პრეზიდენტი ევგენი გინერი და რომან აბრამოვიჩი ხომ ძმაკაც-ბიზნეს-პარტნიორები არიან. მოსკოვურმა კლუბმა იაროშიკის სანაცვლოდ, რომელიც ორი წლის წინ 3 მილიონ 700 ათას დოლარად შეიძინა, „ჩელსისგან“ დაახლოებით 7 მილიონი დოლარი მიიღო. რა ელის იაროშიკს? აბრამოვიჩის ხათრით მაურინიუ ალბათ ხანდახან ათამაშებს, თორემ ლამპარდის, დაფის, კეჟმანისა და დროგბას ძირითადი შემადგენლობიდან ამომგდები რომ არაა, თავად ჩეხმაც კარგად უწყის.

**ვაჟა ხუციშვილი**

## საფრანგეთი

### პირველი დივიზიონი
### XX ტური

**ლილი 1:2 მარსელი**

0:1 მარლე (2), 0:2 ნასრი (22), 1:2 ბრუნელი (63პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 19 | 10 | 9 | 0 | 23:8 | 39 |
| ლილი | 20 | 10 | 6 | 4 | 24:13 | 36 |
| ოსერი | 19 | 9 | 5 | 5 | 26:19 | 32 |
| მარსელი | 20 | 9 | 5 | 6 | 24:19 | 32 |
| მონაკო | 19 | 7 | 9 | 3 | 24:18 | 30 |
| ტულუზი | 19 | 7 | 7 | 5 | 21:17 | 28 |
| ბორდო | 19 | 5 | 12 | 2 | 21:10 | 27 |
| სოშო | 19 | 7 | 6 | 6 | 24:19 | 27 |
| სტ. ეტიენი | 19 | 6 | 8 | 5 | 26:19 | 26 |
| პსჟ | 19 | 6 | 8 | 5 | 23:22 | 26 |
| ნიცა | 19 | 6 | 7 | 6 | 24:25 | 25 |
| ლანსი | 19 | 5 | 9 | 5 | 21:20 | 24 |
| რენი | 19 | 6 | 5 | 8 | 19:23 | 23 |
| მეცი | 19 | 5 | 8 | 6 | 17:26 | 23 |
| სტრასბური | 19 | 4 | 7 | 8 | 18:25 | 19 |
| კაენი | 19 | 4 | 7 | 8 | 15:30 | 19 |
| ნანტი | 19 | 4 | 6 | 9 | 16:22 | 18 |
| ბასტია | 19 | 4 | 5 | 10 | 14:25 | 17 |
| აიაჩო | 19 | 2 | 10 | 7 | 16:23 | 16 |
| ისტრი | 19 | 1 | 9 | 9 | 10:23 | 12 |

### მეორე დივიზიონი
### XX ტური

სედანი — ნანსი 2:0; ბრესტი გენგამი 2:2; შატორუ ლორიანი 3:0; დიჟონი — ტრუა 1:1; გრენობლი — ნიორი 5:1; გენიონი — კლერმონი 2:0; ლავალი — რეიმსი 1:2; ლე ავრი — ამიენი 1:0; ლე მანი — კრეტეი 1:0; მონპელიე — ანჟე 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 20 | 12 | 3 | 5 | 29:18 | 39 |
| სედანი | 20 | 9 | 6 | 5 | 20:16 | 33 |
| ტრუა | 20 | 9 | 5 | 6 | 33:28 | 32 |
| გენიონი | 20 | 7 | 10 | 3 | 17:11 | 31 |
| შატორუ | 20 | 6 | 11 | 3 | 24:19 | 29 |
| მონპელიე | 20 | 8 | 5 | 7 | 20:16 | 29 |
| ლე მანი | 20 | 8 | 5 | 7 | 21:19 | 29 |
| ბრესტი | 20 | 7 | 8 | 5 | 22:22 | 29 |
| დიჟონი | 20 | 7 | 7 | 6 | 21:19 | 28 |
| რეიმსი | 20 | 7 | 7 | 6 | 21:26 | 28 |
| გრენობლი | 20 | 6 | 8 | 6 | 26:26 | 26 |
| ამიენი | 20 | 6 | 8 | 6 | 18:18 | 26 |
| გენგამი | 20 | 7 | 5 | 8 | 24:26 | 26 |
| ლორიანი | 20 | 8 | 2 | 10 | 26:29 | 26 |
| ლავალი | 20 | 7 | 5 | 8 | 22:25 | 26 |
| კლერმონი | 20 | 5 | 9 | 6 | 25:23 | 24 |
| ანჟე | 20 | 4 | 8 | 8 | 18:22 | 20 |
| ლე ავრი | 20 | 5 | 5 | 10 | 13:19 | 20 |
| ნიორი | 20 | 6 | 1 | 13 | 19:30 | 19 |
| კრეტეი | 20 | 4 | 6 | 10 | 16:23 | 18 |

## ესპანეთი

### სამეფო თასი
### 1/8 ფინალი. I მატჩები

**უელვა 0:2 სევილია**

0:1, 0:2 ბაპტისტა (70პ, 77პ)

**გრამანეტი 2:0 ლეიდა**

1:0 მარიო (52), 2:0 დიმაში (59)

## ინგლისი

### ლიგის თასი
### ნახევარფინალი

**ლივერპული 1:0 უოტფორდი**

1:0 ჯერარდი (56)

## ფეხბურთის რუკასთან



**ფრანგული** „ლიონის“ ფორვარდი სილვენ ვილტორდი დაახლოებით სამი კვირა დაისვენებს. ფეხბურთელი რამდენიმე დღის წინ დაშავდა, გამოკვლევით კი დადგინდა, რომ ტრავმა გასული წლის ნოემბერში მიღებულის რეციდივია. კლუბის ექიმებს იმედი აქვთ, რომ 30 წლის თავდამსხმელი თებერვლის დასაწყისისთვის საბოლოოდ გამოჯანმრთელდება.

**ინგლისური** „ბლექბერნი“ მიუნხენის „ბაიერნის“ მცველ თომას ლინკეთი კვლავაცაა დაინტერესებული, თუმც გერმანული კლუბი მის დათმობას არ აპირებს. „თუ „ნიუკასლს“ კუფურის ტრანსფერზე მოველაპარაკეთ, მაშინ ლინკეს გაყიდვა გამორიცხულია. კლუბში ერთი ცენტრალური მცველი მაინც უნდა დარჩეს“ — განცხადა „ბაიერნის“ გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა.

**პორტუგალიური** „ბენფიკას“ ყოფილი პრეზიდენტი ჟოზე ვალე აზევედუ კიდევ ერთხელ გაასამართლეს და 1,5 წელიწადი მიუსაჯეს. ლისაბონელთა ყოფილ მმართველს ბრალი დოკუმენტების გაყალბებაში ედება. აზევედუმ რამდენიმე ფეხბურთელს ტყუილი პასპორტი გაუფორმა, რათა ისინი უპრობლემოდ გაეყიდა. გარდა ამისა, ეს უკანასკნელი სხვადასხვა მაქინაციებშიცაა ეჭვმიტანილი.

**რუსული** ცსკა და ფრანგული პსჟ სერგეი სემაკის ტრანსფერის თაობაზე კვლავ აგრძელებენ მოლაპარაკებას. აქამდე თითქმის ყველაფერი მოგვარებული იყო, მაგრამ ბოლო მომენტში ფრანგულმა კლუბმა 2,5 მილიონის გადახდაზე უარი თქვა. პარიზელებს რუსი ნახევარმცველის შეძენა შედარებით იაფად სურთ, მოსკოველებს კი ფასის დაკლება არ ხიბლავთ.

**ინგლისურ** „ბირმინგემს“ ვეტერანი ნახევარმცველის, დარენ ანდერტონის შენარჩუნება სურს. ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი მომავალ ზაფხულს ეწურება და ბირმინგემელთა ხელმძღვანელობაც ანდერტონს ახალ ერთწლიან ხელშეკრულებას ახლავე სთავაზობს.

**იტალიური** „რომას“ ეგვიპტელი ფორვარდი აჰმედ ჰოსამი, იგივე მიდო სეზონის ბოლომდე შესაძლოა, ერთ-ერთ ინგლისურ კლუბში გაანათხოვრონ. მისით „ტოტენჰემი“ და „საუთჰემპტონი“ არიან დაინტერესებულნი. ეს ინფორმაცია თავად ფეხბურთელმაც დაადასტურა. შეგახსენებთ, 21 წლის მიდოს უკვე უთამაშია ეგვიპტურ „ზამალექში“, ბელგიურ „გენტში“, ჰოლანდიურ „აიაქსში“, ესპანურ „სელტასა“ და ფრანგულ „მარსელში“.

**გერმანული** „ვოლფსბურგის“ არგენტინელი ნახევარმცველი ანდრეს დალესანდრო ვარჯიშზე დაშავდა. „მგლები“ ახლა ესპანეთში იმყოფებიან, მაგრამ დალესანდრო იძულებული გახდა, სამკურნალოდ გერმანიაში დაბრუნებულიყო. რეაბილიტაციის კურსს მიუნხენის „ბაიერნის“ ექიმ ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფართთან გაივლის. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენ ხანს დაისვენებს სამხრეთამერიკელი.

**ესპანური** „ლევანტეს“ ირლანდიელი მცველის, იან ჰარტის ტრავმა სერიოზულია. უკვე ცნობილია, რომ ჰარტი სულ ცოტა 6 კვირა ვერ იბურთავებს. თუმც ექიმების ვარაუდით, მას ოპერაციაც დასჭირდება და უქმობაც ეგებ უფრო გაუხანგრძლივდეს. იან ჰარტი ახლა ინგლისშია და გამოკვლევასაც იქ იტარებს. ფეხბურთელი 18 დეკემბერს, „ალბასეტესთან“ მატჩისას დაშავდა.

**იტალიური** „რომას“ ფრანგი ნახევარმცველი ოლივიე დაკური კლუბის გამოცვლაზე ფიქრობს. 30 წლის ნახევარმცველს ინგლისში დაბრუნება სურს. მისით „მიდლსბრო“, „ვესტ ბრომვიჩი“ და „ბირმინგემი“ არიან დაინტერესებულნი, თუმც დაკურის გადაბირება სხვებსაც უნდათ. ფრანგს რომაელებთან კონტრაქტი მომავალ ზაფხულს ეწურება და სავარაუდოდ ახალს არც გააფორმებს. შეგახსენებთ, ოლივიე დაკური „რომაში“ ინგლისური „ლიდსიდან“ გადავიდა.

**სლოვენიელი** ნახევარმცველი ზლატკო ზაჰოვიჩი უკლუბოდ დარჩა. 34 წლის ფეხბურთელმა „ბენფიკასთან“ კონტრაქტი გაწყვიტა. იგი ლისაბონელთა თავკაც ჯოვანი ტრაპატონის ეჩხუბა. იტალიელ სპეციალისტს ვარჯიშებზე ზაჰოვიჩის ქცევა არ მოსწონდა და დუბლებში გადაიყვანა, რაც რთული ხასიათის მქონე ფეხბურთელმა ვერ იგუა.

სარბიელი
სამუშაოდ
იწვევს
გაზეთში ნამუშევარ
დამკაბადონებელს
მიღება
მოხდება
შერჩევით
მსურველებმა
მოგვაკითხეთ
„სარბიელის“ რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის
გამზირი 42,
II კორპუსი,
IV სართული,
15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ
39-48-29, 38-11-14

# მალდინის 20 წელი

## საკის ალტერნატივა, კაპელოს დიქტატურა, ანჩელოტის რევოლუცია



*1987 წლის ზაფხულში პაოლო მალდინი სარდინიაში ისვენებდა და არ იცოდა, რომ „მილანის“ მწვრთნელად არიგო საკი დანიშნეს. მალდინის სასტუმროს ჰოლში, ტელეფონთან უხმეს, შენ გკითხულობენო. ხალათშემოცმულ ფეხბურთელს გაოცებისგან ყურმილი ხელიდან კინაღამ გაუვარდა, როცა საკის ხმა გაიგო. ახალდანიშნული მწვრთნელი ერთ საათს ესაუბრა და ბოლოს უთხრა: „პაოლო, უნდა გადაწყვიტო, ვინ იქნები — პლეიბოი თუ ფეხბურთელი“.*

*20 იანვარს პაოლო მალდინის „მილანური“ დებიუტიდან 20 წელი შესრულდება. „შავ-წითელთა“ კაპიტანი, ბავშობაში „იუვენტუსის“ ქომაგი, დიდებულ მარადონას, საკის საოცარ „მილანს“ და მრისხანე კაპელოს ეშმაკობას იხსენებს ინტერვიუში, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.*

— ბევრი ამბობს, რომ „ოქროს ბურთი“ ანდრეი შევჩენკოს არ ეკუთვნოდა...

— ამ ჯილდოს პატრონზე ყოველთვის დაუსრულებლად კამათობენ, ამიტომ უაზრობაა, ვინმეს რამე უმტკიცო. ყველას თავისი ფავორიტი ჰყავს, მე კი დარწმუნებული ვარ — დეკოზე, ანრიზე და რონალდინიოზე მეტად „ოქროს ბურთს“ სწორედ შევჩენკო იმსახურებდა.

**— ამას წინათ რონალდინიოსთან ერთად სარეკლამო რგოლში გადასაღებად მიგიწვიეს. „მილანში“ მის გადაყვანაზე რას იტყვით?**

— „კამპ ნოუზე“ ჩვენს კარში ბრწყინვალე გოლის გამტანი უნიკალური მოთამაშეა. ალბათ ერთადერთია მსოფლიოში, რომლის სანაცვლოდაც „მილანი“ დიდძალ ფულს გაიღებდა. იქ ქომაგებს მოსწონთ, თავად ფეხბურთის თამაშით ტკბება, ფეხბურთი კი — რონალდინიოთი. თან სულ იცინის! ამ თამაშს მასზე უკეთ რეკლამას ვერავინ გაუწევს. ცხადია, შევჩენკოზეც იგივეს ვიტყოდი.

**— მარჩელო ლიპის უთქვამს, ფეხბურთელმა ნაკრები მხოლოდ კარიერის დასრულებისას უნდა მიატოვოსო. თქვენ კლუბში ისევ თამაშობთ, „სკუადრა აძურას“ კი ჩამოსცილდით...**

— ლიპის ვერ დავეთანხმები. 15 წელი შევწირე „სკუადრა აძურას“ და ჩავთვალე, რომ ეს საკმარისია. ორმაგი დატვირთვის — კლუბი და ნაკრები — ატანა იოლი არაა. ნაკრებიდან წასვლა მაშინ ჯობს, როცა ჯერ კიდევ ეროვნული გუნდში თამაშის ღირსად გთვლიან.

**— როგორ ახერხებთ ყოველი ახალი სეზონისთვის თავის მოტივირებას საიმისოდ, რომ კვლავ მაღალ დონეზე ითამაშოთ?**

— ცდებით. მოტივაციის ძებნა არ მჭირდება. ფეხბურთის თამაში ამჯერადაც ისეთ სიამოვნებს მანიჭებს, როგორც ოცი წლის წინ. ფსიქოლოგიურ დაღლას ვარჯიშებზეც კი ვერ ვგრძნობ. კარიერას რომ დავასრულებ, ბურთის გორება ძალიან მომენატრება.

**— ბავშობაში ტურინის „იუვენტუსის“ ქომაგი ყოფილხარ...**

— ათი წლის ვიყავი, არგენტინაში მსოფლიოს ჩემპიონატზე მოთამაშე ენცო ბეარზოტის „სკუადრა აძურა“ რომ ვნახე და დამამახსოვრდა. ბავშვებს ფორვარდები უყვართ და მეც ბეტეგას ქომაგი გავხდი, რომელიც „იუვენტუსში“ თამაშობდა, დაცვაში კი კაბრინი ბრწყინავდა.

**— მართალია, რომ თავის დროზე „იუვენტუსს“ თქვენი გადაბირება სურდა?**

— პირადად ჩემთან არავინ მოსულა. ბერლუსკონის ეპოქის დასაწყისში კლუბებს შორის მოლაპარაკება კი გაიმართა, მაგრამ ჩვენმა პრეზიდენტმა არ დამთმო.

**— „მილანისა“ და „იუვენტუსის“ კარგი თამაშის საიდუმლო რაში მდგომარეობს?**

— ვფიქრობ, რომ ჩვენი საკლუბო სტრუქტურა ძალიან ეფექტურად მუშაობს. „მილანიც“ და „იუვენტუსიც“ სწორ სატრანსფერო პოლიტიკას მისდევენ. გარდა ამისა, არსებობს ტრადიციები, ვეტერანი ფეხბურთელები კი ახალბედებს გუნდთან შეგუებაში ეხმარებიან.

**— ყველაზე მეტად ვის წინააღმდეგ გიჭირდათ თამაში?**

— დიეგო მარადონა განსაკუთრებული იყო. მოუხელთებელი, ჯანიანი და ლიდერის თვისებით დაჯილდოვებული, თუმც რონალდოსაც ვერ დავივიწყებ მის საუკეთესო წლებში. მარკო ვან ბასტენზე არაფერს ვიტყვი, რადგან, საბედნიეროდ, „მილანში“ თამაშობდა.

**— კიდევ ვინ დაგამახსოვრათ თავი ამ ხნის განმავლობაში?**

— ჯანფრანკო ძოლას და დამიანო ტომაზის გამოვყოფდი, რადგან გარდა იმისა, რომ პროფესიონალიზმით გამოირჩევიან, დიდებული ადამიანებიც არიან.

**— თქვენ მემკვიდრედ სერია A-ში ვინ მიგაჩნიათ?**

— ჯანლუკა ძამბროტა. ეს ფეხბურთელი ბუნებამ ნიჭით უხვად დააჯილდოვა.

**— კარიერას დასრულების შემდეგ რას აპირებთ?**



ადრიანა და პაოლო



კარლო ანჩელოტიმ და პაოლო მალდინიმ 2003 წელს მანჩესტერიდან ჩემპიონთა თასი ჩამოიტანეს

— „მილანიდან“ არ წავალ. მწვრთნელობაზე პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ ალბათ კლუბის ოფისში ვიმუშავებ.

**— 20 იანვარს „მილანში“ თამაშის 20 წელი გისრულდებათ. ამაყობთ ასეთი უნიკალურობით.**

— ამ კითხვის დროს უნიკალურობა კი არა, საკუთარი ასაკი მახსენდება. მე და მამაჩემმა ერთად „მილანს“ 40 წელი შევწირეთ.

**— გაიხსენეთ რამე განსაკუთრებული...**

— ბავშვობაში მარცხენა ფეხით კარგად ვერ ვურტყამდი და მამა საათობით მავარჯიშებდა ნაკლის გამოსასწორებლად. ადრევე მივხვდი, რომ უშრომლად ვერაფერს მიაღწევ. ძალიან ვემადლიერები მამას გაწეული ამაგისთვის. მიხარია, რომ მივბაძე და ბოლოს მასავით „მილანის“ კაპიტანი გავხდი. ვერც წარმოიდგენთ, როგორ მიფეთქავდა გული მანჩესტერში 2003 წლის მაისში, როცა ჩემპიონთა თასი ავწიე! 40 წლის წინ, 1963 წელსაც ხომ „მილანმა“ მოიგო ჩემპიონთა თასი და მაშინ ჩეზარე მალდინი იმ გუნდში თამაშობდა.

**— ამბობენ, რომ ფაბიო კაპელოსთან არცთუ კარგი ურთიერთობა გქონდათ...**

— იმ დროს, როცა კაპელო „მილანიდან“ წავიდა, გუნდი აშკარად არ ბრწყინავდა და, ცხადია, რომ მწვრთნელ-ფეხბურთელებს შორის ურთიერთობა გაფუჭდა, მაგრამ კარგი პერიოდიც ხომ გვქონდა. ხუთ წელიწადში ფაბიო კაპელოსთან ერთად ოთხჯერ სკუდეტო და ერთხელ ჩემპიონთა თასი მოვიგეთ. მკაცრი კაცია, დიქტატორია, თუმც იმავდროულად დიდი ფსიქოლოგია. მაგალითად, 1994 წელს, ჩემპიონთა თასის ფინალამდე რამდენიმე დღით ადრე „ფიორენტინასთან“ ვითამაშეთ და 0:2 წავაგეთ. ნამატჩევს კაპელო გასახდელში კმაყოფილი სახით შემოვიდა და გვითხრა: „ბიჭებო, დღეს მივხვდი, რომ ჩემპიონთა თასს ჩვენ მოვიგებთ“. ყველანი გავოცდით. ეს იყო მისი მხრიდან ფანტასტიკური ნაბიჯი და აკი ფინალში „ბარსელონა“ კიდეც გავანადგურეთ.

**— არიგო საკის „მილანზე“ რას იტყვით?**

— ჯერ თავისი წილი მადლობა ნილს ლიდჰოლმს უნდა გადავუხადო, რომლის ხელქვეითაც 1985 წლის იანვარში „უდინეზესთან“ მატჩში ჩემი დებიუტი შედგა.

მისი ჩემდამი ნდობისა და რჩევა-დარიგებების გარეშე დღევანდელი პაოლო მალდინი ალბათ ასეთი არ იქნებოდა. რაც შეეხება საკის, 1987 წლის ზაფხული მახსენდება. სარდინიაზე ვისვენებდი. არიგო საკი „მილანის“ მწვრთნელად დანიშნეს და მე არც ვიცოდი. მან სასტუმროში დამირეკა. ჰოლში ჩავედი და ერთი საათი ვესაუბრე. ბოლოს მითხრა, 19 წლის ბიჭი ხარ, უნდა გადაწყვიტო, პლეიბოი იქნები თუ ფეხბურთელიო. მოგვიანებით გავიცანი ადრიანა, ჩემი ამჟამინდელი მეუღლე. ამის შემდეგ არიგო საკი დაწყნარდა და მიხვდა, რომ ფეხბურთელობა მსურდა. საკიმ ფეხბურთში რევოლუცია მოახდინა. „სტიაუასთან“ გამარჯვების მეორე დღეს ფრანგულმა „ეკიპმა“ დაწერა: „გუშინდლამდე ჩვენ მხოლოდ ერთი ფეხბურთი ვიცოდით, ახლა კი ალტერნატიულიც ვნახეთ არიგო საკის „მილანის“ შესრულებით“.

**— სკუდეტო ალბერტო ძაკერონის მწვრთნელობისასაც მოგიგიათ.**

— ვინც ფიქრობს, რომ მან იღბლის წყალობით მოიგო სკუდეტო, ფეხბურთისა არაფერი გაეგება. ორი ჩაგდებული სეზონის შემდეგ ალბერტო ძაკერონიმ მალე მონახა გამოსავალი. მახსოვს, ზაფხულში შეკრებისას ოთახიდან ოთახში გაზეთებით დადიოდა და გვეუბნებოდა, ნახეთ, სკუდეტოს ფავორიტად არავინ გვთვლის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენ ჩემპიონობა შეგვიძლიაო. ასეც მოხდა.

**— ოსკარ ტაბარესს და ფატიჰ თერიმს როგორ გაიხსენებთ?**

— ორივე კარგი პიროვნებული თვისებებით გამოირჩეოდა. პირველს არ გაუმართლა, რადგან ცუდ დროს მოუწია „მილანში“ მუშაობა, მეორეს კი არ აცალეს დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. არ გამოგვრჩეს მამაჩემი, ჩეზარე მალდინი, რომლის თავკაცობითაც მილანურ დერბიში „ინტერი“ 6:0 დავამარცხეთ.

**— დაბოლოს, კარლო ანჩელოტი...**

— იგი ხავერდოვანი რევოლუციით მოვიდა გუნდში. მის „მილანში“ ერთდროულად იყვნენ რივალდო, რუი კოშტა, კაკა, ზეედორფი და ვარსკვლავ-ფორვარდები. მეცინება, როცა ამბობენ, რომ თითქოს ანჩელოტი რბილი ხასიათის კაცია და ფეხბურთელები თავის ჭკუაზე ატარებენ. მას ყველა მოთამაშესთან შეუძლია საერთო ენის გამონახვა და აზრის კითხვასაც არ თაკილობს. ამაშია მისი ძალა.

# ზამთრის ევროპული ტრანსფერები

## იულიანო მალიორკას დაიცავს



**ტურინის** „იუვენტუსმა“ ზამთრის სატრანსფერო სეზონში პირველი ფეხბურთელი გაყიდა. „ბებერმა ქალბატონმა“ კლუბის ერთ-ერთი ყველაზე სტაჟიანი და ერთგული მოთამაშე მარკ იულიანო გაასხვისა. ვეტერანი იტალიელი კარიერას კრიზისში მყოფ ესპანურ „მალიორკაში“ გააგრძელებს.

„იუვეს“ ხელმძღვანელობამ საკმაოდ დიდი ხნის წინ განაცხადა, იულიანოს გაყიდვას ვაპირებთო და ამ უკანასკნელსაც მრავალი მსურველი გამოუჩნდა. მისი გადაბირება იტალიური კლუბების გარდა რამდენიმე ინგლისურ და რუსულ გუნდსაც სურდა. თუმც საბოლოოდ იულიანომ ყველასათვის მოულოდნელად პრიმერადივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლ „მალიორკაში“ ამოყო თავი.

შეგახსენებთ, რომ იულიანო „იუვენტუსში“ 1996 წლის ზაფხულში გადავიდა. მან ტურინელებთან ერთად 4 სკუდეტო, 2 იტალიის თასი და ევროპის სუპერთასი მოიპოვა. წლების მანძილზე იგი „ბებერი ქალბატონის“ ერთგული და ერთ-ერთი წამყვანი მცველი იყო, თუმცა ბოლო წლებში ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. მიმდინარე სეზონში კი მხოლოდ ერთხელ გავიდა მოედანზე.

**გიორგი ქაქაბაძე**

## იტალია

| ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|
| მარკ იულიანო | იუვენტუსი | მალიორკა (ესპანეთი) |
| სიმონე ინძაგი | ლაციო | სამპდორია |
| ფაბიო ბაცანი | სამპდორია | ლაციო |
| მასიმო მაკარონე | მიდლსბრო (ინგლისი) | სიენა |
| ლამბროს ხუტოსი | ინტერი | ატალანტა |
| მატიას ალმეიდა | ბრეშა | ვესტ ბრომვიჩი (ინგლისი) |
| მატია გრაფიედი | სიენა | მოდენა |
| ვლადო შმიტი | ბოლონია | პესკარა |
| გუსტავო ლაცარეტი | ბოტაფოგო (ბრაზილია) | უდინეზე |
| სიმონე ერამო | მესინა | ტარანტო |
| ხულიო სეზარ ლეონი | კატანძარო | რეჯინა |
| ჯოვანი მორაბიტო | რეჯინა | კატანძარო |
| დავიდე დიონიჯი | რეჯინა | ბარი |
| ჯორდანო პაგანოტო | ჩეზენა | ბრეშა |
| ალბერტო არამუ | ნაპოლი | კალიარი |
| ანდრეა ალბერტი | ჩეზენა | ბრეშა |
| ლუკა საუდატი | ატალანტა | ემპოლი |
| კუო არნო | ლე მანი (საფრანგეთი) | ლეჩე |
| რიკარდო ალეგრეტი | კიევო | ვენეცია |
| დავიდე სუჩი | კიევო | ლუკეზე |
| ჯანი კომანდინი | ატალანტა | ტერნანა |
| რაფაელე ამეტრანო | მესინა | აველინო |
| ჯულიო მილაჩიო | ტერნანა | ატალანტა |
| მირკო კონტე | მესინა | არეცო |
| პაოლო სინიგალია | არეცო | ატალანტა |
| კარმინე გაუტიერი | ატალანტა | ნაპოლი |
| დავიდე ინაჩიო პია | ატალანტა | ნაპოლი |
| სიმონე დანიელო | ბოლონია | გარფანანა |
| მარიო ფონტანა | ფიორენტინა | ნაპოლი |
| ანგელოს გონიასი | მესინა | კროტონე |
| სანტოს როდრიგო | კორინთიანსი (ბრაზილია) | რეჯინა |
| რობერტო ტისონე | კომო | უდინეზე |

## ინგლისი

| ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|
| ფერნანდო მორიენტესი | რეალი (ესპანეთი) | ლივერპული |
| ენდრიუ დევისი | მიდლსბრო | ქუინზ პარკი |
| მასიმო მაკარონე | მიდლსბრო | სიენა (იტალია) |
| იესპერ გრონკიაერი | ბირმინგემი | ატლეტიკო (ესპანეთი) |
| ირჟი იაროშიკი | ცსკა (რუსეთი) | ჩელსი |
| კევინ კემპბელი | ევერტონი | ვესტ ბრომვიჩი |
| ჯეიმს ბიტი | საუთჰემპტონი | ევერტონი |
| მატიას ალმეიდა | ბრეშა (იტალია) | ვესტ ბრომვიჩი |
| დინ ეშტონი | ქრიუ | ნორვიჩი |
| ალან ბლეინი | საუთჰემპტონი | რაშდენი |
| რობერტ ბარჩი | ტოტენჰემი | სტივენეიჯი |
| ემანუელ ებუ | ბევერენი (ბელგია) | არსენალი |
| იან ფოლი | საუთჰემპტონი | ნოტინგემი |
| რაიან ნელსენი | ვაშინგტონი (აშშ) | ბლექბერნი |
| ლეს ფერდინანდი | ბოლტონი | რედინგი |
| რობი ბლეიქი | ბარნლი | ბირმინგემი |
| მაურისიო პელეგრინო | ვალენსია (ესპანეთი) | ლივერპული |
| ჯეიმი რედნაპი | ტოტენჰემი | საუთჰემპტონი |
| აარონ მოკოენა | გენკი (ბელგია) | ბლექბერნი |
| ემილ ჰალფრედსონი | ჰაფნარფიორდური (ისლანდია) | ტოტენჰემი |
| დევიდ ლიმბერსკი | პლზენი (ჩეხეთი) | ტოტენჰემი |
| კალუმ დევენპორტი | ტოტენჰემი | საუთჰემპტონი |
| სელესტინ ბაბაიარო | ჩელსი | ნიუკასლი |
| ჟან-ალენ ბუმსონგი | რეინჯერსი (შოტლანდია) | ნიუკასლი |
| ნჯაზი კუქი | ლაჰტი (ფინეთი) | ბირმინგემი |
| დმიტრი ბულიკინი | დინამო (რუსეთი) | კრისტალ პალასი |

## ესპანეთი

| ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|
| ფერნანდო მორიენტესი | რეალი | ლივერპული (ინგლისი) |
| მარკ იულიანო | იუვენტუსი (იტალია) | მალიორკა |
| დიეგო სიმეონე | ატლეტიკო | რასინგი (არგენტინა) |
| იესპერ გრონკიაერი | ბირმინგემი (ინგლისი) | ატლეტიკო |
| ლუჩანო ფიგეროა | კრუზ ასული (მექსიკა) | ვილიარეალი |
| ხუან პაბლო სორინი | კრუზეირო (ბრაზილია) | ვილიარეალი |
| მაურისიო პელეგრინო | ვალენსია | ლივერპული (ინგლისი) |
| ნიკო ოლივერა | დეფენსორი (ურუგვაი) | ალბასეტე |
| ხოსე ლუისმი | ალბასეტე | მურსია |
| ლუის ანგულო | ბილბაო | ხიმნასტიკი |
| დანიელ ტარანტინო | ბილბაო | ნუმანსია |
| სერხიო არაგონესესი | ატლეტიკო | ხეტაფე |
| მიგელ ხაკობო | ატლეტიკო | პოლი ეხიდო |
| ხოსე ისმაელი | ბეტისი | ელჩე |
| კარლოს ჩანგი | დეპორტივო | პონტევედრა |
| მარკ ბერტრანი | ესპანიოლი | კორდობა |
| ანტონიო სერვულო | ლევანტე | კორდობა |
| კარლოს მიჩელი | მურსია | მალაგა |
| გონსალო დე ლოს სანტოსი | ვალენსია | მალიორკა |
| იოშიტო ოკუბო | შიმიცუ (იაპონია) | მალიორკა |
| ბერნარდო რომეო | ჰამბურგი (გერმანია) | მალიორკა |
| პატრიკ მიულერი | მალიორკა | ციურიხი (შვეიცარია) |
| პულპო გონსალესი | კორდობა | ნუმანსია |
| რაფაელ ხორდა | პერალტა | ნუმანსია |
| რაულ მარტინი | ეიბარი | რასინგი |
| კრისტიან ალვარესი | რასინგი | კორდობა |

## გერმანია

| ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|
| ტობიას რაუ | ბაიერნი | ნიურნბერგი |
| უესლი სონკი | აიაქსი (ჰოლანდია) | მიონხენგლადბახი |
| პეტერ სკოვ-იენსენი | მიდტიულანდი (დანია) | ბოხუმი |
| სამუელ კუჯუ | ტიროლი (ავსტრია) | ფრაიბურგი |
| **ოთარ ხიზანეიშვილი** | **დინამო (რუსეთი)** | **ფრაიბურგი** |
| ფათიჰ აკიელი | ფენერბაჰჩე (თურქეთი) | [illegible] |
| ბიქსენტ ლიზარაზუ | მარსელი (საფრანგეთი) | ბაიერნი |
| ენრიკო გაედე | მიონხენგლადბახი | ესენი |
| ბერნარდო რომეო | ჰამბურგი | მალიორკა (ესპანეთი) |
| მოჰამედ ზიდანი | მიდტიულანდი (დანია) | ვერდერი |
| კრეიგ მური | რეინჯერსი (შოტლანდია) | მიონხენგლადბახი |
| ანდრეას იბერტსბერგერი | ზალცბურგი (ავსტრია) | ფრაიბურგი |
| ჰანო ბალიტჩი | ლევერკუზენი | მაინცი |
| მიხაელ ტიურკი | ლევერკუზენი | მაინცი |
| პიოტრ ტროხოვსკი | ბაიერნი | ჰამბურგი |
| იურგენ მახო | რაპიდი (ავსტრია) | კაიზერსლაუტერნი |
| ბერნდ ტიისი | ტრაბზონი (თურქეთი) | მიონხენგლადბახი |
| მიმუნ აზაუაგი | მაინცი | შალკე |
| დიეგო ლეონი | ბოხუმი | არმინია |
| მორამ ნავიდკია | არმინია | ბოხუმი |
| ლანდონ დონოვანი | ვაშინგტონი (აშშ) | ლევერკუზენი |
| იორგ ბიომე | შალკე | მიონხენგლადბახი |
| ემანუელ სენტურიონი | შტუტგარტი | ველესი (არგენტინა) |
| შტეფან კლინგი | ჰამბურგი | ზაარბრიუკენი |
| კრისტიან ტიმი | კაიზერსლაუტერნი | ფიურტი |
| რადოსლავ კალუჟნი | ლევერკუზენი | ესენი |
| თომას დრეშერი | კაიზერსლაუტერნი | ბურგჰაუზენი |
| იან შლაუდრაფი | მიონხენგლადბახი | ალემანია |
| ანგელოს ხარისტიასი | ვერდერი | აიაქსი (ჰოლანდია) |
| ვლადიმირ ივიჩი | მიონხენგლადბახი | აეკ (საბერძნეთი) |
| ოსკარ აჰუმადა | ვოლფსბურგი | რივერ პლეიტი (არგენტინა) |
| შტეფან მალცი | კაიზერსლაუტერნი | ფიურტი |
| ტედი ლუკიჩი | ლევერკუზენი | ჰეკენი (შვედეთი) |
| კლინტ მატისი | ჰანოვერი | მიონხენგლადბახი |

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. პრემიერლიგა

**15 იანვარი**

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:30 1 | ლივერპული-მანჩესტერი | 2.5 | 3.2 | 2.6 | 1.4 | 1.27 | 1.43 |
| 18:00 2 | სიტი-კრისტალ პალასი | 1.7 | 3.4 | 4.7 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 18:00 3 | ასტონ ვილა-ნორვიჩი | 1.65 | 3.5 | 4.9 | 1.12 | 1.23 | 2.04 |
| 18:00 4 | ნიუკასლი-საუთჰემპტონი | 1.6 | 3.6 | 5.1 | 1.1 | 1.21 | 2.11 |
| 18:00 5 | პორტსმუთი-ბლექბერნი | 2.0 | 3.3 | 3.4 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 18:00 6 | ტოტენჰემი-ჩელსი | 4.7 | 3.4 | 1.7 | 1.97 | 1.24 | 1.13 |
| 18:00 7 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 2.05 | 3.3 | 3.35 | 1.26 | 1.27 | 1.66 |
| 20:15 8 | ბოლტონი-არსენალი | 5.4 | 3.5 | 1.6 | 2.12 | 1.23 | 1.09 |

**16 იანვარი**

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 9 | მიდლსბრო-ევერტონი | 2.2 | 3.2 | 3.1 | 1.3 | 1.28 | 1.57 |
| 19:05 10 | ფულემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 3.4 | 4.7 | 1.13 | 1.24 | 1.97 |

### ინგლისი. ჩემპიონატი

**14 იანვარი**

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 11 | ქპრ-სტოკი | 2.15 | 3.3 | 3.0 | 1.3 | 1.25 | 1.57 |

**15 იანვარი**

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 12 | შეფილდი-ბრაიტონი | 1.6 | 3.4 | 5.5 | 1.08 | 1.23 | 2.1 |
| 18:00 13 | უოტფორდი-კრიუ | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 14 | ვულვერჰემპტონი-ვესტ ჰემი | 2.55 | 3.1 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| 18:00 15 | ბარნლი-რედინგი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 16 | როტერჰემი-უიგანი | 3.9 | 3.4 | 1.8 | 1.81 | 1.23 | 1.17 |
| 18:00 17 | ჯილინგემი-პლიმუთი | 2.2 | 3.2 | 2.95 | 1.3 | 1.26 | 1.53 |
| 18:00 18 | იფსვიჩი-ქოვენთრი | 1.5 | 3.5 | 6.3 | 1.04 | 1.21 | 2.25 |
| 18:00 19 | ლიდსი-კარდიფი | 1.8 | 3.4 | 3.9 | 1.17 | 1.23 | 1.81 |
| 18:00 20 | ნოტინგემი-მილუოლი | 2.5 | 3.2 | 2.55 | 1.4 | 1.26 | 1.41 |
| 18:00 21 | პრესტონი-ლესტერი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |

**16 იანვარი**

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 22 | დერბი-სანდერლენდი | 2.45 | 3.2 | 2.6 | 1.38 | 1.26 | 1.43 |

### ინგლისი. I ლიგა

**15 იანვარი**

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 25 | ბარნსლი-ჰადერსფილდი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 18:00 26 | ბორნმუთი-უენსდი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 27 | ბრისტოლი-ბრედფორდი | 1.95 | 3.3 | 3.4 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 18:00 28 | ჰალი-პიტერბრო | 1.4 | 3.8 | 7.5 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| 18:00 29 | ლუტონი-სტოკპორტი | 1.4 | 3.8 | 7.5 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| 18:00 30 | ოლდემი-დონკასტერი | 2.05 | 3.2 | 3.3 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 31 | პორტ ვეილი-ბრენტფორდი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 32 | სუინდონი-ბლეკპული | 1.75 | 3.2 | 4.5 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 18:00 33 | ტორკი-ჰარტლპული | 2.5 | 3.3 | 2.5 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| 18:00 34 | უოლსოლი-ჩესტერფილდი | 1.95 | 3.3 | 3.5 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 18:00 35 | რექსემი-ტრანმერი | 2.8 | 3.3 | 2.25 | 1.51 | 1.24 | 1.33 |
| 18:00 36 | დონსი-კოლჩესტერი | 2.45 | 3.2 | 2.6 | 1.38 | 1.26 | 1.43 |

### ინგლისი. II ლიგა

**15 იანვარი**

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 40 | კემბრიჯი-ჩესტერი | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 18:00 41 | ჩელტენემი-რაშდენი | 1.7 | 3.3 | 4.4 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 18:00 42 | ლეიტონი-გრიმსბი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 18:00 43 | მაკლსფილდი-კიდერმინსტერი | 1.6 | 3.4 | 5.0 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 18:00 44 | ნორთჰემპტონი-დარლინგტონი | 1.85 | 3.3 | 3.7 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 18:00 45 | ოქსფორდი-იოვილი | 3.0 | 3.3 | 2.1 | 1.57 | 1.23 | 1.28 |
| 18:00 46 | როჩდეილი-მენსფილდი | 2.1 | 3.3 | 3.0 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 18:00 47 | სკანთორპი-ბერი | 1.6 | 3.4 | 5.1 | 1.08 | 1.21 | 2.03 |
| 18:00 48 | შრიუსბერი-ბოსტონი | 2.25 | 3.3 | 2.7 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 18:00 49 | საუთენდი-ნოტსი | 1.65 | 3.3 | 4.8 | 1.1 | 1.22 | 1.95 |
| 18:00 50 | სუონსი-უიკომბი | 1.65 | 3.3 | 4.8 | 1.1 | 1.22 | 1.95 |
| 18:00 51 | ლინკოლნი-როვერსი | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

**15 იანვარი**

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 53 | დანდი-ინვერნესი | 2.15 | 3.1 | 3.1 | 1.26 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 54 | ჰართსი-დანდი იუნაიტედი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 18:00 55 | კილმარნოკი-მოზერუელი | 2.25 | 3.1 | 3.0 | 1.3 | 1.28 | 1.52 |
| 18:00 56 | ლივინგსტონი-ჰიბერნიანი | 2.95 | 3.2 | 2.2 | 1.53 | 1.26 | 1.3 |
| 18:00 57 | რეინჯერსი-დანფერმლაინი | 1.15 | 5.6 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 3.81 |

**16 იანვარი**

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 58 | აბერდინი-სელტიკი | 7.3 | 4.2 | 1.35 | 2.66 | 1.13 | 1.02 |

### შოტლანდია. I დივიზიონი

**15 იანვარი**

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 59 | ერდრი-როსი | 2.05 | 3.3 | 2.9 | 1.26 | 1.2 | 1.54 |
| 18:00 60 | ჰამილტონი-კლაიდი | 2.65 | 3.2 | 2.3 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 18:00 61 | პარტიკი-ქუინი | 2.3 | 3.2 | 2.6 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 18:00 62 | რეითი-სტ.მირენი | 3.55 | 3.2 | 1.85 | 1.68 | 1.21 | 1.17 |
| 18:00 63 | სტ.ჯონსტონი-ფოლკირკი | 2.65 | 3.2 | 2.3 | 1.44 | 1.23 | 1.33 |

### შოტლანდია
### II დივიზიონი

**15 იანვარი**

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 64 | ალოა-ეარი | 2.5 | 3.3 | 2.35 | 1.42 | 1.21 | 1.37 |
| 18:00 65 | ბერიკი-დამბარტონი | 2.4 | 3.3 | 2.5 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 18:00 66 | ფორფარი-სტირლინგი | 2.35 | 3.4 | 2.45 | 1.38 | 1.19 | 1.42 |
| 18:00 67 | მორტონი-არბროთი | 1.5 | 3.8 | 4.9 | 1.07 | 1.14 | 2.14 |
| 18:00 68 | სტრანრარი-ბრეჩინი | 2.15 | 3.3 | 2.75 | 1.3 | 1.2 | 1.5 |

### შოტლანდია. III დივიზიონი

**15 იანვარი**

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 69 | ისტ სტირლინგი-ელგინი | 2.8 | 3.4 | 2.1 | 1.53 | 1.2 | 1.29 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 70 | გრეტნა-კოუდენბითი | 1.2 | 5.3 | 9.0 | 1.0 | 1.05 | 3.33 |
| 18:00 | 71 | მონტროუზი-ალბიონი | 1.45 | 3.9 | 5.3 | 1.05 | 1.13 | 2.24 |
| 18:00 | 72 | პიტერჰედი-ისტ ფაიფი | 1.2 | 5.3 | 9.0 | 1.0 | 1.05 | 3.33 |
| 18:00 | 73 | სტენჰაუზმური-ქუინზ პარკი | 2.2 | 3.3 | 2.7 | 1.32 | 1.21 | 1.48 |

### იტალია
### სერია A

**15 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 74 | ბრეშა-ფიორენტინა | 2.3 | 2.9 | 3.2 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 22:30 | 75 | რეჯინა-ინტერი | 4.2 | 3.0 | 1.9 | 1.75 | 1.3 | 1.16 |

**16 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 76 | სამპდორია-ბოლონია | 1.75 | 3.2 | 4.7 | 1.13 | 1.27 | 1.9 |
| 17:00 | 77 | ატალანტა-სიენა | 2.25 | 2.9 | 3.25 | 1.26 | 1.32 | 1.53 |
| 17:00 | 78 | კიევო-რომა | 3.1 | 2.8 | 2.4 | 1.47 | 1.35 | 1.29 |
| 17:00 | 79 | ლაციო-პალერმო | 2.0 | 2.9 | 3.95 | 1.18 | 1.32 | 1.67 |
| 17:00 | 80 | ლივორნო-მესინა | 2.1 | 2.9 | 3.6 | 1.21 | 1.32 | 1.6 |
| 17:00 | 81 | მილანი-უდინეზე | 1.45 | 3.7 | 7.0 | 1.04 | 1.2 | 2.42 |
| 17:00 | 82 | პარმა-ლეჩე | 1.95 | 3.0 | 3.8 | 1.18 | 1.28 | 1.67 |
| 22:30 | 83 | კალიარი-იუვენტუსი | 4.2 | 3.2 | 1.8 | 1.81 | 1.25 | 1.15 |

### ესპანეთი. I დივიზიონი

**15 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 116 | ხეტაფე-ატლეტიკო | 2.7 | 3.0 | 2.55 | 1.42 | 1.31 | 1.37 |
| 23:45 | 117 | მალაგა-სევილია | 2.8 | 2.9 | 2.55 | 1.42 | 1.33 | 1.35 |

**16 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 118 | ოსასუნა-ვალენსია | 2.95 | 2.9 | 2.45 | 1.46 | 1.33 | 1.32 |
| 19:00 | 119 | დეპორტივო-ნუმანსია | 1.45 | 4.0 | 6.5 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 19:00 | 120 | ლევანტე-ვილიარეალი | 2.5 | 2.9 | 2.9 | 1.34 | 1.34 | 1.45 |
| 19:00 | 121 | ალბასეტე-რასინგი | 2.15 | 3.1 | 3.3 | 1.26 | 1.3 | 1.59 |
| 19:00 | 122 | ბილბაო-ესპანიოლი | 2.15 | 3.0 | 3.4 | 1.25 | 1.31 | 1.59 |
| 19:00 | 123 | ბეტისი-მალიორკა | 1.6 | 3.5 | 5.4 | 1.09 | 1.23 | 2.12 |
| 21:00 | 124 | ბარსელონა-სოსიედადი | 1.3 | 4.7 | 8.6 | 1.01 | 1.12 | 3.03 |
| 23:00 | 125 | რეალი-სარაგოსა | 1.3 | 4.7 | 8.6 | 1.01 | 1.12 | 3.03 |

### ბელგია. I დივიზიონი

**15 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 177 | ლუვიე-შარლერუა | 2.25 | 3.1 | 2.85 | 1.3 | 1.25 | 1.48 |
| 22:00 | 178 | ბრიუგე-ბევერენი | 1.2 | 5.2 | 11.0 | 1.0 | 1.08 | 3.53 |
| 22:00 | 179 | ბეერსხოტი-გენტი | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| 22:00 | 180 | მონსი-სტ.ტრუიდენი | 2.4 | 3.2 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 22:00 | 181 | ანდერლეხტი-მუსკრონი | 1.25 | 4.8 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.13 |
| 22:00 | 182 | სტანდარდი-ლიერსი | 1.55 | 3.5 | 5.2 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 22:00 | 183 | ლოკერენი-სერკლი | 1.7 | 3.3 | 4.4 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 22:00 | 184 | გენკი-ბრიუსელი | 1.4 | 3.9 | 6.8 | 1.03 | 1.16 | 2.47 |

**16 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 185 | ვესტერლო-ოსტენდე | 1.5 | 3.7 | 5.5 | 1.06 | 1.17 | 2.21 |

### პორტუგალია. სუპერლიგა

**15 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 195 | გიმარაეში-ბეირა მარი | 1.7 | 3.3 | 4.4 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 23:45 | 201 | აკადემიკა-პორტუ | 5.0 | 3.5 | 1.55 | 2.05 | 1.18 | 1.07 |

**16 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 196 | ბრაგა-მორეირენსე | 1.5 | 3.6 | 5.7 | 1.05 | 1.18 | 2.2 |
| 19:00 | 197 | ჟილ ვისენტე-პენაფიელი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 19:00 | 198 | მარიტიმუ-ეშტორილი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 19:00 | 199 | რიუ ავე-ლეირია | 2.25 | 3.0 | 2.9 | 1.28 | 1.26 | 1.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 202 | ნასიონალი-სპორტინგი | 3.6 | 3.2 | 1.85 | 1.69 | 1.22 | 1.17 |
| 23:45 | 203 | ბენფიკა-ბოავიშტა | 1.65 | 3.4 | 4.3 | 1.11 | 1.19 | 1.89 |

**17 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 200 | სეტუბალი-ბელენენსეში | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |

### იტალია. თასი

**13 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 227 | ლაციო-კალიარი | 1.8 | 3.1 | 4.1 | 1.13 | 1.25 | 1.76 |
| 17:00 | 228 | უდინეზე-ლეჩე | 1.6 | 3.4 | 4.9 | 1.08 | 1.2 | 2.0 |
| 19:30 | 229 | სიენა-რომა | 3.0 | 3.0 | 2.2 | 1.5 | 1.26 | 1.26 |
| 23:00 | 230 | იუვენტუსი-ატალანტა | 1.25 | 4.6 | 9.5 | 1.0 | 1.1 | 3.09 |

### ესპანეთი. თასი

**13 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 234 | ვალიადოლიდი-რეალი | 5.75 | 3.6 | 1.5 | 2.21 | 1.18 | 1.05 |

### ჰოკეი. შვედეთი

**13 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 304 | ლინჩიოპინგი-ფერიესტადი | 1.95 | 4.1 | 2.45 | 1.32 | 1.08 | 1.53 |
| 21:00 | 305 | მოდო-სიოდერტელიე | 1.65 | 4.4 | 3.0 | 1.2 | 1.06 | 1.78 |
| 21:00 | 306 | იურგორდენი-მორა | 1.8 | 4.4 | 2.6 | 1.27 | 1.06 | 1.63 |
| 21:00 | 307 | ბრიუნესი-მალმიო | 1.6 | 4.4 | 3.1 | 1.17 | 1.05 | 1.81 |

### ჰოკეი. ფინეთი

**13 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 314 | ჰელსინკი-ესეტი | 1.55 | 4.4 | 3.4 | 1.14 | 1.06 | 1.91 |
| 19:30 | 315 | იუვესკიულე-ჰამეენლინა | 2.3 | 4.2 | 2.0 | 1.48 | 1.06 | 1.35 |
| 19:30 | 316 | ტურკუ-იოკერიტი | 2.15 | 4.1 | 2.2 | 1.41 | 1.08 | 1.43 |
| 19:30 | 317 | პელიკანსი-ესპოო | 2.9 | 4.2 | 1.7 | 1.71 | 1.07 | 1.21 |

**14 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 318 | იოკერიტი-იუვესკიულე | 1.25 | 5.0 | 6.0 | 1.0 | 1.03 | 2.72 |

### ჰოკეი. ჩეხეთი

**14 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 328 | სპარტა-დუკლა | 1.15 | 6.0 | 7.5 | 1.0 | 1.0 | 3.33 |


CROCO
BOOKMAKERS
კროკო
ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით

CROCO
BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 329 | კარლოვი ვარი-ვსეტინი | 1.9 | 4.4 | 2.4 | 1.32 | 1.06 | 1.55 |
| | ჰოკეი გერმანია 14 იანვარი | | | | | | |
| 21:30 334 | დიუსელდორფი-აუგსბურგი | 1.75 | 4.4 | 2.7 | 1.25 | 1.06 | 1.67 |
| 21:30 335 | აისბარენი-ნიურნბერგი | 2.05 | 4.3 | 2.25 | 1.38 | 1.07 | 1.47 |
| 21:30 336 | იზერლონი-ჰანოვერი | 1.65 | 4.6 | 2.9 | 1.21 | 1.05 | 1.77 |
| 21:30 337 | კიოლნი-ინგოლშტადი | 1.8 | 4.5 | 2.55 | 1.28 | 1.05 | 1.62 |
| 21:30 338 | კრეფელდი-ჰამბურგი | 2.1 | 4.2 | 2.2 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 21:30 339 | მანჰაიმი-ვოლფსბურგი | 1.45 | 4.9 | 3.55 | 1.11 | 1.02 | 2.05 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ჰოკეი. შვეიცარია 14 იანვარი | | | | | | |
| 21:45 344 | ფრიბურგი-ცუგი | 2.1 | 4.2 | 2.2 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 21:45 345 | სერვეტი-დავოსი | 2.05 | 4.1 | 2.25 | 1.36 | 1.07 | 1.45 |
| 21:45 346 | კლოტენი-ციურიხი | 2.25 | 4.2 | 2.05 | 1.46 | 1.07 | 1.37 |
| 21:45 347 | ლოზანა-ბერნი | 2.3 | 4.2 | 2.0 | 1.48 | 1.06 | 1.35 |
| 21:45 348 | ლანგნაუ-რაპერსვილი | 2.05 | 4.4 | 2.2 | 1.39 | 1.06 | 1.46 |
| 22:00 349 | ამბრი-ლუგანო | 2.3 | 4.3 | 2.0 | 1.49 | 1.06 | 1.36 |
| | ჰოკეი. რუსეთი 13 იანვარი | | | | | | |
| 13:00 363 | ნოვოკუზნეცკი-სიბირი | 1.35 | 4.5 | 5.0 | 1.03 | 1.06 | 2.36 |


CROCO

BOOKMAKERS

კროკო

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი - კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# მოსკოვური საჩუქარი

## ცინცაძე სამარადან ურალში გადაჯდა

ახალგაზრდა გიორგი ცინცაძეს მოულოდნელად უკეთესობისკენ მოუბრუნდა საქმეები. მას შემდეგ, რაც რუსული „სამარადან" წასვლის იმედი გადაეწურა, ის ბედს შეეგუა და გუნდში, ოღონდ დუბლიორებში დარჩენა გადაწყვიტა. გიორგი სამარაში დაბრუნდა და ჯერ არც კი ევარჯიშა, რომ მოულოდნელად მოსკოვიდან დაურეკეს — ცინცაძის მფლობელი ცსკა-ს აღმასრულებელი დირექტორი სერგეი კუშჩენკო გიოს პერმში წასვლას და იქაურ „ურალ გრეიტში" გასინჯვას სთავაზობდა. ცინცაძე დღეს უკვე პერმშია და დარჩება თუ არა „ურალ გრეიტში", დღეს-ხვალ გადაწყდება. ჩვენც მას გუშინ პერმში შევეხმიანეთ...



**— ორიოდ დღის წინ სამარაში იყავი და იქაურ ვევეეს-ში დარჩენა გქონდა გადაწყვეტილი. ასე მოულოდნელად რა შეიცვალა?**

— „ურალ გრეიტის" ვარიანტი ნამდვილად სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ჩემთვის. ის სწორედ მაშინ გამომიჩნდა, როცა სეზონის ბოლომდე „სამარაში" დარჩენა გადავწყვიტე.

**— ახალ წლამდე თბილისში რომ იყავი, ამბობდი, პარიზულ „რასინგში" გადავდივარო...**

— ჰო, პარიზში რომ ჩავსულიყავი, პრობლემა არ მექნებოდა. ამ გუნდის პრეზიდენტი რიდ სალივანი მთხოვდა, ჩამოდიო, მაგრამ მოსკოვიდან ჩემი მფლობელი გუნდის, ცსკა-ს ხელმძღვანელობამ დამირეკა და რუსეთში წავედი. ცსკა-ს ბაზაზე გუნდის მთავარ მწვრთნელ დუშან ივკოვიჩსაც შევხვდი და აღმასრულებელ დირექტორ სერგეი კუშჩენკოსაც. პირდაპირ მითხრეს, არ გვინდა, რომ საფრანგეთში წახვიდე, იქ შენი გაკონტროლება შედარებით ძნელი იქნებაო. ივკოვიჩი სერბეთში მიშვებდა, ისეთი მწვრთნელებს მივაბარებ, სანერვიულო არაფერი გვექნებაო, მაგრამ მე არ ვისურვე.

**— შენს ნება-სურვილზე იყო, სად წახვიდოდი?**

— რა თქმა უნდა, მეც მეკითხებოდნენ, მაგრამ ალბათ იმიტომ გადაიფიქრეს, რომ სეზონის დასრულებამდე ბევრიც აღარაფერია დარჩენილი, თანაც სამარადან დუბლიორთა გუნდის მწვრთნელებმა დამირეკეს, ნახევარი სეზონი ვეღარ მოგითმენია, ჩამოდი, აქ იყავი და სხვა გუნდში გადასასვლელად კარგ ფორმაში ჩაგაყენებთო. ცსკა-ს ხელმძღვანელებს სურდათ, რუსული სუპერლიგის გუნდი მოენახათ ჩემთვის, მაგრამ რომ ვერ მოახერხეს, რას იზამდნენ, მითხრეს, სამარაში დაბრუნდი, თუ გინდა...

**— „სამარას" მთავარ მწვრთნელ ოლეგ კიმს ხომ რა დაურეკავს?**

— არა, კიმთან რა საერთო მაქვს. ეს კაცი უსამართლოდ მომექცა და მის გუნდში არასდროს ვითამაშებ. სამარაში მხოლოდ იმ განზრახვით ჩავედი, რომ დუბლიორთა გუნდში ვითამაშებდი, სადაც მაფასებენ და მეც იმედებს ვამართლებ.

**— და ასეთ დროს გამოგიჩნდა „ურალ გრეიტის" ვარიანტი. საიდან, როგორ?**

— სამარაში ორი დღის ჩასული ვიყავი, რომ მოსკოვიდან კუშჩენკომ დამირეკა, პერმში უნდა წახვიდე, „ურალ გრეიტის" ვარიანტი გამოვნახეო.

**— შენც მეტი რა გინდოდა...**

— ძალიან გამიხარდა, არც დავფიქრებულვარ. ეგრევე აეროპორტში წავედი და პირველივე პერმის თვითმფრინავზე დავჯავშნე ბილეთი. აქ რომ ჩამოვედი, დიდი პატივით მიმიღეს, ძალიან მომწონს ყველაფერი.

**— ახლა ისაა საკითხავი, დაგიტოვებენ თუ არა პერმელები...**

— ჯერ არ ვიცი, გუნდთან არ მივარჯიშია. დღეს საღამოს ვიკრიბებით და მთავარი მწვრთნელიც იქ მნახავს. დილას ინდივიდუალურად ვივარჯიშე „ურალ გრეიტის" მეორე მწვრთნელის მეთვალყურეობით.

**— კლუბის ხელმძღვანელები არაფერს გეუბნებიან?**

— არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო, თუმც როგორც ვატყობ, პერმელებს უკან გასაშვებად არ ვემეტებით. ბაზაზე რომ ვიყავი, ისე გადაკრულად ლაპარაკობდნენ, რომ მგონი, გადაწყვეტილი აქვს ჩემი გუნდში დატოვება. თუმცა ამას ჩემი დაკვირვების შედეგად ვამბობ და არ ვიცი, მართლა დამიტოვებენ თუ არა.

**— თავად შენთვის მისაღებია ეს გუნდი? „ურალ გრეიტი" ხომ ის „ურალ გრეიტი" აღარაა, 2-3 წლის წინ რომ თვით ცსკა-ს ამწარებდა...**

— „სამარაში" დაბრუნებას ყველგან თამაში მიჯობს და მით უმეტეს, ასეთ დალხენილ გუნდში, როგორიც „ურალ გრეიტია". აქ ყველაფერია — მშვენიერი ბაზა, კარგი მწვრთნელები და, რაც მთავარია, ფული. დღეს ჩამოვედი და უკვე მანქანა მომცეს. ხვალ სავარაუდოდ ბინასაც გამომინახავენ.

**— თუ ფინანსურად ასე ულხინს, რატომაა „ურალ გრეიტი" სუპერლიგის ცხრილში უჩვეულოდ ქვემოთ?**

— პერმელებს რუს კალათბურთელებში არ გაუმართლათ, თორემ თითქმის ყველა ლეგიონერი ძალიან ძლიერი და სახელიანი ჰყავთ. მთელი სიმძიმე ექვს კალათბურთელზე გადადის და ამიტომაც სურთ ურალელებს მოთამაშეთა დამატება. სხვათა შორის, აქ დღეს იგორ ვიალცევიც ჩამოდის, რომელიც ჩემთან ერთად იყო ცსკადან „სამარაში" განათხოვრებული.

**— ვიალცევს რაღა გაუჭირდა „სამარაში", ის ხომ რუსული კალათბურთის იმედად ითვლება?**

— ჰოდა, ვიალცევის დაწუნებით კიდევ ერთხელ ამტკიცებს იგორ კიმი, რომ ხასიათის და უაზრო პრინციპების მწვრთნელია. ვიალცევი ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება რუსეთში და კიმი მას არ ათამაშებს ბოლო მატჩებში. ცსკა-მ ვიალცევიც განარიდა კიმს, პერმში გამოუშვა და კარგი იქნება, თუ „ურალ გრეიტშიც" თანაგუნდელები ვიქნებით.

**— შენს პოზიციაზე ვინ ჰყავს ახლა „ურალ გრეიტს"?**

— ამერიკელი გამთამაშებელია, რომელმაც არ გაამართლა და, როგორც გავიგე, მისი გუნდიდან გაშვება უნდათ. ალბათ მეც ამიტომ მომიწვიეს.

**— არსებობს შანსი, რომ მანდაც დუბლებში გათამაშონ?**

— შანსი არაა, იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ „ურალ გრეიტს" არ ჰყავს დუბლიორები. თუ აქ დავრჩები, მხოლოდ ძირითად გუნდში ანუ სუპერლიგაში ვითამაშებ.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 11 იანვარი —

**ატლანტა 103:80 მილუოკი**

ატლანტა: ლუ (18), ჯ. სმიტი (11), ჰარინგტონი (14), უოლკერი (10 ქულა, 11 მოხსნა), კოლიე (12); დრობნიაკი (13), ჩილდრესი (12), აივი (9), დ. სმიტი (2), ეკეზი

მილუოკი: უილიამსი (8), რედი (10), მეისონი (13), სმიტი (4), გაძურიჩი (2); ჯეიმსი (14), ვან ჰორნი (10), ფაჩულია (27 წუთი, 8 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), ფიზერი (6), სანტიაგო (3), სტრიკლენდი (2), კუკოჩი

**საკრამენტო 109:100 დენვერი**

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (27), ბიბი (18), მარტინი (17)

დენვერი: მარტინი (17), მილერი (16 ქულა, 11 პასი), ენტონი (16)

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**ფინიქსი 122:107 მაიამი**

ფინიქსი: სტუდემაიერი (34), მარიონი (26 ქულა, 11 მოხსნა, 5 ჩაჭრა), ჯონსონი (24), ნეში (16 ქულა, 16 პასი)

მაიამი: ონილი (34 ქულა, 11 მოხსნა), ვეიდი (23), ჰეისლიპი (16)

**სიეტლი 104:99 კლიპერსი**

სიეტლი: ალენი (31), რადმანოვიჩი (18)

კლიპერსი: მეჯიტი (20), ბრენდი (17 ქულა, 11 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 80:89 დეტროიტი**

ნიუ ჯერსი: კარტერი (19), ბესტი (16)

დეტროიტი: რ. ვოლესი (19 ქულა, 13 მოხსნა), ჰამილტონი (18)

**კლივლენდი 100:98 შარლოტი**

ძირითადი დრო 87:87

კლივლენდი: ჯეიმსი (29 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), ილგაუსკასი (22 ქულა, 11 მოხსნა), გუდენი (17)

შარლოტი: ვოლესი (18), ბრეზეცი (18), ბოგანსი (17), ნაითი (15 ქულა, 20 პასი)

**ნიუ იორკი 82:88 ნიუ ორლეანი**

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (17), მარბერი (15 ქულა, 13 პასი)

ნიუ ორლეანი: დევისი (21 ქულა, 10 პასი), ნეილონი (18)

**მემფისი 85:86 ინდიანა**

მემფისი: გასოლი (31), ველსი (20)

ინდიანა: ონილი (35 ქულა, 12 მოხსნა)

### აღმოსავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ იორკი | 17 | 18 | 48,6 |
| ბოსტონი | 16 | 19 | 45,7 |
| ფილადელფია | 15 | 18 | 45,5 |
| ტორონტო | 13 | 22 | 37,1 |
| ნიუ ჯერსი | 12 | 22 | 35,3 |
| **ცენტრალური** | | | |
| კლივლენდი | 21 | 12 | 63,6 |
| დეტროიტი | 19 | 14 | 57,6 |
| ინდიანა | 17 | 16 | 51,5 |
| ჩიკაგო | 14 | 18 | 43,8 |
| მილუოკი | 12 | 20 | 37,5 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 27 | 10 | 73,0 |
| ვაშინგტონი | 19 | 13 | 59,4 |
| ორლანდო | 18 | 15 | 54,5 |
| შარლოტი | 8 | 23 | 25,8 |
| ატლანტა | 6 | 26 | 18,8 |

### დასავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 28 | 8 | 77,8 |
| დალასი | 22 | 10 | 68,8 |
| მემფისი | 18 | 18 | 50,0 |
| ჰიუსტონი | 17 | 17 | 50,0 |
| ნიუ ორლეანი | 4 | 29 | 12,1 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| სიეტლი | 25 | 8 | 75,8 |
| მინესოტა | 17 | 16 | 51,5 |
| პორტლენდი | 15 | 18 | 45,5 |
| დენვერი | 14 | 20 | 41,2 |
| იუტა | 12 | 24 | 33,3 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 31 | 4 | 88,6 |
| საკრამენტო | 22 | 11 | 66,7 |
| ლეიკერსი | 18 | 14 | 56,3 |
| კლიპერსი | 16 | 17 | 48,5 |
| გოლდენ სტეიტი | 11 | 24 | 31,4 |

# აღარც როჩი, აღარც ნიჭი



გაჭირვებულ „ნიუ ჯერსი ნეთსს" ტრავმები აღმართში მიეწია. ბოლო სამ სეზონში პლეი ოფის ფინალში ორჯერ გასულმა „ბადეებმა" წლეულს საქმე თავად წაიხდინეს არასწორი სელექციით და შემდეგ ტრავმებსაც ვერსად წაუვიდნენ. გუნდს ძლივს ლიდერი ჯეისონ კიდი გამოუჯანმრთელდა და ახლა ისე დაუშავდა ბომბარდირი რიჩი ჯეფერსონი, „ნეთსს" მთელი სეზონი უიმისოდ მოუწევს ჯახირი.

ჯეფერსონი — ნიუ ჯერსისთვის ყოველ მატჩში საშუალოდ 22 ქულის და 7 მოხსნის მომტანი ჯან-ღონით და მონდომებით სავსე კაცი — ამ სამშაბათს „დეტროიტთან" შეხვედრაში დაშავდა. თავად დაზარალებული დეტროიტელი გამთამაშებლის ჩონსი ბილაფსისკენ იშვერს ხელს, სწრაფ გარღვევაზე რომ წავედი, წამომეწია და მაჯაში ისეთი ჩამცხო, ტკივილი ლამის ფეხის ფრჩხილებშიც ვიგრძენიო — „ჩონსი არ არის ბინძური მოთამაშე, მაგრამ მე კი ზომაზე მეტად მეუხეშა. ექიმები მეუბნებიან, მაისამდე ვერ მოგირჩებაო. იქნებ პლეი ოფისთვის მაინც მოვმჯობინდე."

ჰო, მაგრამ მერე რაღაში დასჭირდება ჯეფერსონი „ნიუ ჯერსის" საკითხავი აი, ეს არის. თუ ეს კაცი და მისი [illegible] ქულა-მოხსნები დააკლდა, ისედაც წყალწაღებული „ნეთსი" პლეი ოფში გამსვლელი ნაღდად ვერაა. ბოლო სამ სეზონში ატლანტიკის დივიზიონის [illegible]რესი გუნდი ახლა იქ მხოლოდ მეხუთე და ბოლოა.

**[illegible] ყორშია**

# მსოფლიომ მსოფლიო თასი გვაჩუქა
## მალე თბილისში ქალებსაც ვიხილავთ

თავის დროზე მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერესად მიჩნეული თბილისის საერთაშორისო ტურნირი ძველ დიდებას ნელ-ნელა იბრუნებს. წლეულს იგი 32-ედ, ტრადიციულად წლის დასაწყისში, 29-30 იანვარს გაიმართება და საქმე ისე მიდის, მსოფლიოს ძიუდოს გრანდ ქვეყნებს საუკეთესო შემადგენლობებით ვიხილავთ. ტურნირამდე ორ კვირაზე მეტი რჩება, მაგრამ უკვე უამრავი განაცხადი შემოსულა. ორგანიზატორებმაც ტურნირის უმაღლეს დონეზე ჩასატარებლად აქედანვე დაიწყეს მუშაობა.

გუშინ სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში საორგანიზაციო კომიტეტის წევრები: დეპარტამენტის, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ძიუდოს ფედერაციის შეფები შეიკრიბნენ და მომავალ ტურნირზე ისაუბრეს. პირველი სიტყვა ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტ დილარ ხაბულიანისა იყო და მანაც სასიამოვნო სიახლით დაიწყო:

„ათენის ოლიმპიადის შემდეგ ქართული ძიუდოს პოპულარობა ერთიორად გაიზარდა და ეს ევროპის ფედერაციამაც დაგვიფასა. თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს ამიერიდან თბილისის ტრადიციულ მსოფლიოს თასად მოიხსენიებენ, ანალოგიური ტურნირი კი მსოფლიოში სულ რამდენიმეა.“

თბილისში ჩამომსვლელ უცხოელთა შესახებ დასმულ კითხვაზე ყველაზე კომპეტენტური ნაკრების მთავარი მწვრთნელი აღმოჩნდა.

**შოთა ხაბარელი:** „თბილისში მსოფლიოს უძლიერესი ნაკრებები ჩამოდიან — იაპონია, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ირანი, რუსეთი და სხვები. როგორც ვიცით, იაპონიას და ირანს უძლიერესი შემადგენლობები მოჰყავთ, რუსები კი სულაც ორი გუნდით სტუმრობას აპირებენ. ქართული ძიუდოს ბოლოდროინდელ წარმატებებზე რომ არაფერი ვთქვათ, უცხოელთა ცხოველი ინტერესი იმითაცაა განპირობებული, რომ წლის დასაწყისია, რეიტინგის ათვლა იწყება და ყველა ცდილობს, რაც შეიძლება კარგად დაიწყოს.“

ნაკრების თავკაცი, ცხადია, ეროვნულ გუნდსაც შეეხო — როგორც მასპინძლებს, თითოეულ წონაში ოთხი კაცის გამოყვანის უფლება გვაქვს და ამ დროისთვის საუკეთესო ფორმაში მყოფებს ვაჭიდავებთო. იქვე ითქვა, ქართველი გულშემატკივრის თვალწინ ჭიდაობას ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური, ვერცხლის პრიზიორი ნესტორ ხერგიანი და ოლიმპიური ნაკრების სხვა წევრებიც აპირებენ და გულმოდგინედაც ემზადებიან.

საორგანიზაციო საკითხებზე სიტყვის ჩამოგდებისთანავე მიკროფონი სპორტის დეპარტამენტის ახალ თავმჯდომარე დავით ნამგალაურს გადაულოცეს. მანაც დაგვაიმედა, მომავალი ტურნირი გაცილებით ლამაზად ორგანიზებული იქნება, ვიდრე ბოლო წლებში. მობრძანდით სპორტის სასახლეში და გპირდებით, არც სიცივე შეგაწუხებთ და არც სიბნელეო.

ბოლო ტურნირები დილარ ხაბულიანმაც გაიხსენა: „წინა წლებში ძალიან ბევრს ვწვალობდით შეჯიბრის უმაღლეს დონეზე ჩასატარებლად. საამისოდ კრედიტიც კი აგვიღია. ახლა კი სპორტის დეპარტამენტისა და სამინისტროს დახმარებით პრობლემებს გაცილებით იოლად ვუმკლავდებით. სახელმწიფოს მხრიდან ყურადღებასაც ვგრძნობთ, ასე რომ, ყველა პირობა გვაქვს, რათა ქართველ ხალხს დიდი ძიუდო ვაჩვენოთ.“

ძიუდოისტთა პირველკაცის თქმით, ქართული ქალთა ძიუდოს არცთუ მაღალი დონის გამო თბილისის ტურნირზე ქალი ძიუდოისტები არ ჩამოვლენ. ევროფედერაციის შეფებს ეს შეღავათი პირადად მოუციათ, ოღონდ მხოლოდ ერთი წლით. მომავალი წლიდან კი კაცებთან ერთად ქალთა მსოფლიოს თასსაც ვუმასპინძლებთ.

29-30 იანვარს თბილისში ძიუდოს ევროპის ფედერაციაც სრული შემადგენლობით აპირებს ჩამოსვლას, რაღა თქმა უნდა, პრეზიდენტ მარიუს ვიზერის თავკაცობით.

**ოთარ მაღლაკელიძე**



დილარ ხაბულიანი და დავით ნამგალაური



# შავი ზღვა ფსკერზე დაეშვა

**სეზონის** პირველი ბაშოს მეოთხე ტურიც ისე ჩაჭიდავდა, ჩვენმა ფალავანმა ლევან ცაგურიამ აქტივს კვლავ ვერაფერი წაამატა. კოკაიმ ექსკომუსუბი კაიხოსთანაც აქტიურად დაიწყო, მაგრამ კვლავ უშედეგოდ და ბოლოს ისევ მეტოქის აქტიურობას ემსხვერპლა. შედეგად „შავი ზღვა“ ოთხი წაგებით აუტსაიდერებს — ტოკიცუმისა და ტოკიგენკუს დაუმეგობრდა.

უიღბლო სერია გაუგრძელდა 32 წლის ოძეკი კაიოსაც. მეოთხე ტურში მესამედ დამარცხდა და გაიოკუთუნებაზე ოცნებაც საბოლოოდ დაასრულა. 170-კილოგრამიან მთაკაცს დიადი ჩემპიონობის თეორიული შანსიც აღარ შერჩა, რადგან 23 იანვრამდე ყველა მეტოქე რომ დასცეს, 12 გამარჯვებას ვერ ასცდება. გასადიდკაცებლად კი 13 სჭირდებოდა.

ერთპიროვნულ ლიდერთათვის მეოთხე დღე წარმატებულად დასრულდა. იოკოძუნა ასასიორიუმ, ექსსეკივაკე ტამაკასუგამ და დასავლეთის მეთერთმეტე მაეგასირა ასასეკირიუმ მორიგი მეტოქეები წამოქციეს და იმპერატორის თასისკენ მიმავალ გზას კვლავ უდანაკარგოდ მიუყვებიან.



კუიონგის რვაკაცა ტურნირი



# აგასი თავს არ იმახცლებს

### მეოთხედფინალი

**როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — გასტინ გაუდიო (არგენტინა) 5:7, 6:1, 6:4; ენდი როდიკი (აშშ) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 6:1, 6:4; ანდრე აგასი (აშშ) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:1, 7:6 (7:4); ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) — დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) 6:1, 7:5**

ამქრის პირველოსანმა როჯერ ფედერერმა თავისი წინასაავსტრალიო განწყობა მორიგი, ზედიზედ უკვე 22-ე გამარჯვებით გაიმყარა. რვაკაცა კუიონგობის მეოთხედფინალში მან საფრანგეთის ღია პირველობის შარშანდელ ჩემპიონ გასტინ გაუდიოს სძლია. მართალია, თავიდან ტემპის აკრეფა ოდნავ გაუჭირდა, მაგრამ როგორც კი აკრიფა, მერე არგენტინელს მის წინააღმდეგ აღარავითარი თულფი აღარ შერჩა.

დანარჩენ მეოთხედფინალებში გამარჯვებულებმა სეტისწაუგებლად იმარჯვეს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო უბერებელი ანდრე აგასი, ვისაც აქამდე ორი თვის განმავლობაში არსად ეპაექრა და ამის მიუხედავად, მაინც ძალზედ გაპოხილად და თავდაჯერებულად გამოიყურებოდა. თავს მართლაც კარგად ვგრძნობო, იძახდა ნამატჩევს აგასი და — რამდენიმე მიქარვას თუ არ ჩავთვლით — თამაშითაც კმაყოფილი ვარო.

ნახევარფინალში აგასი თვისტომ ენდი როდიკს შეხვდება (ვინაც თავის მხრივ იოლად გაუსწორდა წინა კვირის ყატარულ ფინალში ფედერერისგან ძლეულ ივან ლიუბიჩიჩს), ხოლო ფედერერი თავის ზედიზედ მე-15 ფინალში გასასვლელად ტიმ ჰენმანთან იბუქნავებს. ბრიტანელმა მართალია, უპრობლემოდ შემუსრა დავიდ ნალბანდიანი, მაგრამ მერე ჰალალად აღიარა, შარშან მტკივანი ზურგი არდადეგების დროსაც მაწუხებდაო.

**ლევან კელაურაძე**

# ამქარს ჯენიფერიც გამოაკლდა



**შარშანდელი** ფინალისტების — ჟუსტინ ენენ ორდენისა და კიმ კლაისტერსის კვალდაკვალ ავსტრალიის წლევანდელ პირველობას ტურნირის ორგზის ჩემპიონი ჯენიფერ კაპრიატიც გამოაკლდა. ბუთქუნა ამერიკელს, ვისაც მელბურნ პარკი 2001 და 2002 წლებში აუოხრებია, უკვე რახანია, მარჯვენა მხრის ტრავმა აწუხებს. ამის გამო მან ჩოგნის ქნევა ვერც ამ კვირაში სიდნეიმბაზე შეძლო და უფრო იქითაც თუ ჩავეძიებით, 17 დეკემბერს მაშა შარაპოვასთან საჩვენებლად ბურთაობაც ვერ მოახერხა.

# მილერს მალე თხილამურებზე დააბიჯებენ



მასი ბლარდონე და მისი თხილამერები

**ამერიკელმა** სამთომთხილამურემ ბოდე მილერმა ამ ზამთრის მსოფლიოს თასი ისეთი რიხით და სულისშემხუთველი სიჩქარით დაიწყო, მთის ფერდობებზე მოსრიალე და ამ ფერდობებს სხვათა საცქერლად შესეულმა ხალხმა იფიქრა, აბა, ამას ვინღა უნდა დაეწიოსო. ჯამში დაგროვილი ქულებით ამერიკელი კვლავ დამაჯერებლად კი ლიდერობს საერთო ჩათვლას, მაგრამ ისეთი უზარმაზარი უპირატესობით ველარ, როგორც დეკემბერში.

გუშინწინ, შვეიცარიულ ადელბოდენში მილერს ურიგოდ არ უქროლია და მხოლოდ იტალიელ მასიმილიანო ბლარდონეს ჩამორჩა, რითაც ორივე ავსტრიელ მდევარზე — ბენიამინ რაიხსა და ჰერმან მაიერზე მეტი ქულა შეიმატა. ასე რომ, ეს ეტაპი მაინც აქტივში ჩაეწერა.

მომავალ უქმეებზე კი მილერი იქვე შვეიცარიაში, ვენგენში სახელგანთქმული ლუბერჰორნის ფერდობის დალაშქვრას შეეცდება. დალაშქვერით კი დალაშქრავს და ალბათ, შუა გზაში არ წაიქცევა, მაგრამ აი, გამარჯვება კი ძნელი იქნება, რადგან კონკურენტებიც არ არიან ჯაბანნი. იგივ ჰერმან მაიერი და ბენიამინ რაიხი აუცილებლად შეეცდებიან, დანაკარგი იქ შეამცირონ.

ვენგენის ტრასა, არც მეტი არც ნაკლები, 75 წლისაა, თუმც ყველაზე ძველი მაინც არ გახლავთ. ამ ამბავში არლბერგ-კანდაარის ავსტრიული ფერდობი ლიდერობს. სამაგიეროდ, ვენგენი სხვა რამითაა გამორჩეული. ამ ტრასაზე მოთხილამურეები თვით მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი სრიალებდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ტურნირი ყველაზე დიდი ხანია, რაც შეუწყვეტლივ მიმდინარეობს.

შაბათს მონაწილენი სწრაფდაშვებაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს, კვირას კი სლამომში.

ვენგენის ტრასა 4,5 სიგრძით კილომეტრია და სპორტსმენები მას „ძველმოდურს" უწოდებენ. აქ დაშვებისას, რომელსაც საშუალოდ 2,5 წუთი სჭირდება, კაცი რამდენიმე ისტორიულ ადგილს გაივლის, მათ შორის იუნგფრაუს რეგიონში მდებარე ცნობილ რკინიგზას. ყველაზე რთულად გასავლელი ადგილი კი ჰუნდშოპფის მოსახვევია.

მილერმა ამ ტრასაზე 2002 და 2003 წლებში მეორე ადგილი დაიკავა, 1999 წელს კი მეოთხე იყო. გამარჯვებისთვის ჯერ ვერ მიუღწევია და ახლა მოტივაციით აღსავსეა. თუმცა როცა მის კონკურენტთა სიაში ჰერმან მაიერის გვარს ვკითხულობთ, გვიჭირს, მილერს, ან თუნდაც ნებისმიერ სხვას გამარჯვება წინდაწინ ჩავუწეროთ. მაიერი წლეულს ცოტა ზარმაცობს, მაგრამ ლიდერებში მაინც ურევია და მსოფლიოს თასის კიდევ ერთხელ მოგების შანსიც არ დაუკარგავს.

**ლადო ფულუკიძე**

| 11 იანვარი. ადელბოდენი. შვეიცარია | |
|---|---|
| **გიგანტური სლალომი** | |
| 1 მასი ბლარდონე (იტალია) | 2წთ, 19,846წმ |
| 2 ბოდე მილერი (აშშ) | +0,186წმ |
| 3 კალე პალანდერი (ფინეთი) | +0,386წმ |
| 4 ბენიამინ რაიხი (ავსტრია) | +0,706წმ |
| 18 ჰერმან მაიერი (ავსტრია) | +1,996წმ |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1 ბოდე მილერი (აშშ) | 988 ქულა |
| 2 ბენიამინ რაიხი (ავსტრია) | 690 |
| 3 ჰერმან მაიერი (ავსტრია) | 551 |
| 4 მიხაელ ვალხოფერი (ავსტრია) | 541 |
| 5 დარონ რალფსი (აშშ) | 436 |

# იტალიას ავსტრიელი დედოფალი ჰყავს



REUTERS კორტინა დამპეცოდან

ავსტრიელი რენატე გოეტჩლი კორტინა დამპეცოში მეხუთედ იმარჯვებს

**სანამ კაცები** შვეიცარიულ ადელბოდენში ბოდე მილერისთვის უპირატესობის ჩამოჭრას ამაოდ ცდილობდნენ, ქალები ალპების გადმოღმა, იტალიაში, დოლომიტების მთებში შეფენილ კოხტა კორტინა დამპეცოში სრიალებდნენ. კოხტა უძახე და, კორტინაში წლეულს ამ ზამთარს ისეთი თბილი ამინდები დაიჭირა, ეტაპის ორგანიზატორებს თოვლის მოლოდინში ლამის თავისი დაემართათ. ბოლო-ბოლო, თოვლი მაინც დროულად მოვიდა და ეტაპიც ლაზათიანად ჩატარდა.

კვლავ არ გაუმართლა ქალ მთიელებში ყველაზე განთქმულს, ხორვატ იანიცა კოსტელიჩს. კორტინაში ქალები გიგანტურ სლალომში ცდიდნენ თხილამურებს, ეს თხილამურობის სწრაფი ნაირსახეობაა, ხოლო კოსტელიჩს საზოგადოდ უფრო უხიფათო და ნელი სლალომი ურჩევნია, ქულებსაც ამ დისციპლინაში უფრო ხვავიანად იხვეჭს. ჰოდა, ხორვატი ახლა გამარჯვებულს მთელი წამით ჩამორჩა და ეტაპი მხოლოდ მე-13 ადგილზე ჩაამთავრა. ამან კოსტელიჩი შესამჩნევად აზარალა, საერთო ჩათვლაში მეორე ადგილიდან ერთი საფეხურით ჩაჩოჩდა.

კორტინაში საერთოდ არ გამოჩენილა ქალთა მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლის ფინელი ლიდერი ტანია პოუტიაინენი, რომელიც ასევე მესლალომე გახლავთ, თუმც კოსტელიჩისგან განსხვავებით მას ქულები სავსებით ეყო ლიდერობის შესანარჩუნებლად.

გამარჯვება კი საერთო ჩათვლის მხოლოდ მეხუთე საფეხურის მკვიდრ, ავსტრიელ რენატე გოეტჩლს ერგო, ვინაც ზედ თხილამურებიდან ააწაპნა პირველობა მსოფლიოს ყველაზე მარჯვე მთიელ გოგონებს. რბოლაში თავდაპირველად შედარებით უცნობი კანადელი ემილი ბრიდონი დაწინაურდა. მოგვიანებით მასზე უკეთესი დრო შვედმა ანია პაერსონმა აჩვენა, თუმც არც მას შერჩა კორტინას დედოფლის სახელი. გოეტჩლმა 0,22 წამით გადაუსწრო.

რენატე გოეტჩლი სწორედაც რომ დოლომიტების დედოფალია. აქამდე ცხოვრებაში ხუთჯერ მოუგო იქ და წლეულს თუ ყველგან ხელმოცარული დარჩა, აქაც და ახლა იტალიაში იყოჩაღა.

**კოტე ყორშია**

| 11 იანვარი. კორტინა დამპეცო. იტალია | |
|---|---|
| **სუპერგიგანტი** | |
| 1 რენატე გოეტჩლი (ავსტრია) | 1წთ, 15,575წმ |
| 2 ანია პაერსონი (შვედეთი) | -0,226წმ |
| 3 მარტინა ერტლი (გერმანია) | -0,456წმ |
| 13 იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | -1,016წმ |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1 ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 706 ქულა |
| 2 ანია პაერსონი (შვედეთი) | 659 |
| 3 იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | 633 |
| 4 მიხაელა დორფმეისტერი (ავსტრია) | 549 |
| 5 რენატე გოეტჩლი (ავსტრია) | 485 |

ჰოკეი

# წრე შეიკრა

## ამის ბრალია, იმიტომ, რომ იმის ბრალია



ნჰლ-ს კომისიონერი გარი ბეტმენი ზედმეტად გაჭიუტებულა

**გარი ბეტმენს**, როგორც ჩანს, სათქმელიც აღარაფერი აქვს. 14 იანვარს ნიუ იორკში ნჰლ-ს მესვეურთა შეხვედრა იყო დაგეგმილი, რომელზეც წესით, სეზონი გაუქმებულად უნდა გამოცხადებულიყო. ეს ბეტმენის ტაქტიკური სვლაც გახლდათ. მან ანკესი ისროლა თავისი ოპონენტებისკენ, თუმც მოთამაშეთა ასოციაციის ბოსები არ წამოეგნენ მას — აინუნშიც არ ჩააგდეს მისი მცდელობა და არანაირი ახალი პროექტი არ წარმოადგინეს. და რაკი ლიგის კომისიონერმა შეიგნო, რომ 30 კლუბის მფლობელის ნიუ იორკში გამოძახებას აზრი არ ჰქონდა, სამიტი გააუქმა, მისმა თანაშემწემ და მარჯვენა ხელმა ბილ დეილიმ კი კიდევ ერთხელ გააკრიტიკა პროფკავშირი: „ჩვენ გულწრფელად ველოდით პროფკავშირისგან ახალ ინიციატივას. ამიტომაც ჯერ კიდევ დეკემბერში დავგეგმეთ ეს შეხვედრა, მაგრამ ამაოდ. ახლა ყველასთვის ნათელია, რომ სეზონი მათ ჩაშალეს და ქომაგები ჰოკეის გარეშე დატოვეს. ლიგის პრობლემების იგნორირება სისულელეა."

თავს იმართლებენ ნჰლპა-ს მესვეურები. პროფკავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა ტედ სასკინმა კვლავ გაიმეორა ძველი თეზისები და დაადასტურა, რომ მათი ორგანიზაცია ახალ პროექტს აღარ წარადგენს, თან ირონიულად დასძინა, რომ ლიგა კრების დანიშვნა-გაუქმებაზე კი არ უნდა ცდებოდეს, სერიოზულ მოლაპარაკებებზე და ორივე მოქიშპე მხარისთვის მისაღები ვარიანტის პოვნაზე ფიქრობდესო. მოკლედ, მთელი ეს ლოკაუტი ბავშვების კინკლაობას ჰგავს, წაჩხუბებული მხარეები — ნჰლ-ს შეფობა და მოთამაშეთა ამქარი ერთმანეთს ადანაშაულებენ. ოღონდ ლოკაუტი მაინც ვერ ჩაითვლება უბრალო კინკლაობად — ამ ე. წ. კინკლაობამ მთელი სეზონის ჩაშლა გამოიწვია.

ჰოკეის ქომაგებს კი ისღა დარჩენიათ, სასწაულს ელოდონ.

ერთიც ვთქვათ, ამერიკის პოპულარულ-მა ჟურნალმა „THE SPORTING NEWS"-მა გამოაქვეყნა ქვეყნის სპორტში ყველაზე გავლენიანი 100 ბიზნესმენის სია. ბეტმენი ამ ნუსხაში მე-40 ადგილზეა, რაც აშშ-ში სპორტის რიგით მეოთხე სახეობის ბოსისთვის ნამდვილი დამცირებაა, მით უმეტეს, რომ მისი ოპონენტი, პროფკავშირის შეფი ბობ გუდენაუ 39-ეა.

**სამველ ღარიბიანი**

კალათბურთი

Euroleague

# ევროლიგა

## X ტური. 12 იანვარი


აეკელმა პეტარ ანტიჩმა სიენელებს ჩაუტენა

**A ჯგუფი**

რეალი 82:66 პარტიზანი
პროკომი 77:71 ოლიმპიაკოსი
ციბონა 82:72 ეფესი
კლიმამიო 84:78 ესტუდიანტესი

**B ჯგუფი**

აეკ 75:71 სიენა

**C ჯგუფი**

პო ორთეზი [illegible] ჟალგირისი
ტაუ [illegible] ცსკა

# [illegible] ადგილას

REUTERS მადონა დი კამპილიოდან



მოვიდა ზამთარი და „ფერარის“ მეფორმულეთა გუნდი ტრადიციულ არდადეგებზე ავიდა სამთო კურორტ მადონა დი კომპილიოში. მშვენიერი ადგილია და მიხაელ შუმახერი და მისი ცოლი კორინაც ხარობენ.

REUTERS ნაირობიდან



# რომგი აფრიკაში

რაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეს აირჩიეს, ჟაკ როგი პირველადაა აფრიკაში. კენიის დედაქალაქ ნაირობიში ის ლტოლვილთა კლინიკაში მისულა. ამ კლინიკას გერმანული არასამთავრობო ორგანიზაცია უძღვება. მისიე როგი კი, თან ბურთაობაში ჩაუქრობს, თან კი იმას ფიქრობს, აფრიკის რომელი ქვეყანა ივარგებს ოლიმპიადის სავარაუდო მასპინძლად.

REUTERS სიდნეიდან



# სიცხის ქალები

ავსტრალიაში ზაფხულია. სიდნეიში ცხელა. ჩოგბურთის იქაურ საერთაშორისო ტურნირის ცქერა ყველაზე კომფორტულად ასე შეიძლება. თუმცა, ძნელი სათქმელია, რივ შემთხვევაში მაყურებელთა ცქერა ჯობს, თუ ჩოგბურთის ქომაგობა. სამხრეთ ავსტრალიაში კი ამ სიცხის გამო ხანძრები მძვინვარებს.

REUTERS ადელბოდენიდან

# მარცხიანი ყირა

კი, ვერაფერი მოიგო ამერიკელმა დარონ რალვზმა. ნახეთ სად გაფრინდა. შვეიცარიულ ადელბოდენში სამთო თხილამურობის მსოფლიოს თასის ეტაპი მიმდინარეობს და თუ ამერიკელმა გიგანტურ სლალომში ვერ ივარგა, იტალიელმა მასიმილიანო ბლარდანემ ყველას აჯობა.



REUTERS ლორიენიდან



# ქალიც ეს ყოფილა

მოუდ ფონტენუა, ფრანგი ზღვაოსანი ქალი თავისი ნავის კოკპიტიდან გვიცინის. ეს მამაცი ქალი მალე წყნარი ოკეანის სველ გზას შეუდგება: პერუ, ტაიტი და ასე... მარტოხელა ზღვაოსანი ტურ ჰეერდალის ძველ გზას გაივლის, რომელიც დიდმა სკანდინავმა თავისი „კონ ტიკით“ გაიარა 1947 წელს. ფონტენუა კი პირველი ქალია, რომელმაც მარტომ გადასერა ატლანტიკა აღმოსავლეთიდან დასავლეთით.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლალი ხოშტარია, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე ავთანდილ გურასაშვილი, ლუკან კლაურაძე ოთარ მაღლაკელიძე ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე თამარ ქინქლაძე ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge